წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. პარასკევი, 7 ღვინობისთვე 1916 წ. № 222

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი.
ჩვეულებრივი სტრიქონი „პირველ" გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.
ტფილისში ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პროვინციებში: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი.



საუკეთესო სასადილო
„ეკონომია"
პუშკინის ბაღის პირდაპირ.
„ფრანციის" ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.
მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი" და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში" სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგად ამზადებს.
სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი
პატივისცემით „კაფე-პარიზის" წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—15) დიმიტრი უჩ. ზიზიბერია და ნ. ზ. ქურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში" შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე ჩაი
სადილები ყავა
ვახშმები ხაჭაპური პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხიდ. ხ. ზიზიბერია.

შვინდის ტყლაპი
სუფთად დამზადებულ და აგრეთვე
მურაბის ტყლაპი
მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ
ქ. სიღნაღში ნიკო ახმეტელაშვილთან
(3—358—3)

ღვინის საწყობი
ნიკო ზ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914" და „606"
შეშხაპუნება

მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს
სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი
დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის. თუმანოვის შესახვევი, № 24.
(თ. 343—11)

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰაგაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის აბულადიანისა

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დ. ზისტაუტოვი
ექიმი
დ. ქ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

## საადგილმამულო კომისია

როცა ამ ათიოდე წლის წინათ თბილისში საადგილმამულო კომისია დაარსდა, მას დიდი მიზნები და განსაზღვრული სახსრები ჰქონდა. მას უნდა შეეჩქარებინა ჩვენი მიწაწყლის განიავების პროცესი, რომელიც კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებით მწვავე საგრძნობელი ბოლო დროს გახდა, ის უნდა დახმარებოდა უმამულო და ნაკლებ მამულიან მკვიდრ მცხოვრებლებს საკუთრების შეძენასა და დამტკიცებაში. ეს ისეთი საქმეა, რასაც სხვაგან ჩვეულებრივ ეროვნული ბანკი ასრულებს და ასეთი ბანკის იდეა ამ ათი წლის წინათ მართლაც ტრიალებდა ზოგიერთ წრეებში. მაგრამ სათანადო თანხის უქონლობისა და შესაფერი ორგანიზატორების უყოლობის გამო ეროვნული ბანკის დაარსება ნაადრევი აღმოჩნდა საქართველოში. საადგილმამულო კომისიამ რამოდენიმედ მისი ფუნქციები იკისრა და შეიძლება ითქვას, რომ განსაზღვრულ ფარგალში პირნათლად შეასრულა თავისი ვალდებულება.

საადგილმამულო კომისიის ყოველწლიური ბიუჯეტი ჩვეულებრივ 60 ათასიდან 100 ათასამდე ადიოდა. როგორც უკანასკნელად გამოცემულ ანგარიშიდან სჩანს ცხრა წლის განმავლობაში, ე. ი. 1907 წლის მარტიდან 1916 წლის იანვრამდე, საადგილმამულო კომისიის შუამავლობით და დახმარებით მიწის სყიდვა-გაყიდვაში 207 შეთანხმება მომხდარა, რომელშიაც 11 ათას კომლს მიუღია მონაწილეობა. ამ უკანასკნელთა მიერ შეძენილი მამულის რაოდენობა 96 ათას დღიურს სჭარბობს, ღირებულება კი თითქმის ორ მილიონ ნახევარს წარმოადგენს. ეს ციფრები მჭერმეტყველნი არიან თავის თავადაც: სხვათა შორის ნათლად მოწმობენ იმ მნიშვნელოვან ევოლუციას, რომელიც ჩვენ მიწათმფლობელობას ემჩნევა ბოლო დროს და წვრილი მესაკუთრეების გამრავლებისა და განმტკიცებისკენ არის მიმართული. საადგილმამულო კომისიას უწინარეს ყოვლისა ეს უნდა ჩაეთვალოს მოღვაწეობის აქტივში, რომ ის შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს ამ კეთილმყოფელ ევოლუციას.

უეჭველია, რომ ინტენსიური და კულტურული მეურნეობის განვითარება ჩვენში შეუძლებელია თუ არ მოისპო უზარმაზარი ფეოდალური ლატიფუნდიები, რომელთა გასაძღოლად ჩვენ მემამულეებს არც სათანადო კაპიტალები გააჩნიათ, არც შესაფერი ცოდნა-გამოცდილება. ჩვენი მეურნეობის საკითხი უწინარეს ყოვლისა საკუთრების საკითხია, რასაკვირველია. მაგრამ ამასთან ერთად ის მელიორაციის და ტეხნიკის საკითხიც არის. როგორც სჩანს საადგილ-მამულო კომისიის ახლანდელ ხელმძღვანელებს ნათლად შეუგნიათ ეს გარემოება და სცდილობენ კიდეც თავიანთ მოქმედების სფერო გაეფართოებინათ. ახლად შემუშავებული სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელიც თბილისის თავადაზნაურთა საკრებულომ ამ ერთი კვირის წინად დაამტკიცა, კომისია ოთხ ახალ განყოფილებას აარსებს: სამელიორაციო-სატეხნიკოს, სამიწისმზომელოს, საკონსულტაციოს და სტატისტიკურს. ამ განყოფილებათა გასაძღოლად კომისიამ უკვე მოიწვია ან ახლო მომავალში მოიწვევს შესაფერ სპეციალისტებს: ინჟინერს, იურისტ-კონსულტს, მიწისმზომელს, ინსტრუქტორებს და სხ.

ამგვარად საადგილ-მამულო კომისია, რომელიც აქამდე ეროვნული ბანკის ფუნქციებს ასრულებდა, დღეს ამას გარდა ერობის ფუნქციებსაც კისრულობს. არსებითად ამის წინააღმდეგ არაფერი ითქმის, რასაკვირველია. ადვილი შესაძლებელია, რომ ბიუროკრატიის სიზანტისა და ინერტობისა, რუსი ლიბერალების დოქტრინიორობისა და ჩვენი მეზობლების ინტრიგანობის წყალობით ამიერ კავკასიის ერობის განხორციელება კარგა ხნით გადაიდოს. ჩვენი სამშობლო დიდათ მოგებული იქნება თუ საკუთარი ძალღონით და ორგანიზაციით ახლავე მოუვლის ზოგიერთ საკითხს, რომლის გადაწყვეტა აღარ შეიძლება დაყოვნებულ იქმნას.

ჩვენ ამ ადგილზე არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი მეურნეობისა და მიწათმფლობელობის უდიდესი და უახლოესი საჭიროებანი. ჩვენში მამულის გამიჯვნა ჯერ კიდევ დაუმთავრებელია და ხეირიანად არავინ იცის, ვის რა ეკუთვნის. ეს იწვევს დაუსრულებელ დავასა და საჩივარს, რაიცა მძიმე ტვირთად აწევება ისედაც დავალიანებულ მიწათმფლობელობას. საკუთრება დაქუცმაცებულია არაჩვეულებრივად, ხშირად ერთი და იმავე მამულისა თუ გლეხის პარცელები რამოდენიმე ვერსითაა ერთი-მეორეს დაშორებული. ეს გარემოება აფერხებს მაღალი ტეხნიკის და ინტენსიური კულტურის შემოსვლას. უზარმაზარი ველები მოკლებული არიან სარწყავ არხებს, უდაბნოებს წარმოადგენენ და ნიადაგის სინოყივრის მიუხედავად სრულიად ან სანახევროდ გამოუსადეგი არიან მკვიდრთათვის. მდინარეებს სანაპიროები არ აქვთ, ნამქერში ან წყალდიდობის დროს კალაპოტიდან ამოდიან და ანადგურებენ მიდამოებს. ალაგ-ალაგ წყალი გუბდება, ჭაობს ჰქმნის, მალარიის ნიადაგს ამზადებს და სწამლავს მცხოვრებლებს. ჩვენი სიღარიბე და ჩვენი ფიზიკური დაავადება შედეგია ამ მრავალგვარი სოციალური თუ აგრარული უწესობისა და დიდათ სასიხარულოა, რომ საადგილმამულო კომისიამ ყურადღება მიაქცია ამ მოვლენებს.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარტო ტემპერამენტის სიცხოველე და იდეალისტური გატაცება არ კმარა ასეთი რთული საქმეების მოსავლელად. საჭიროა მეტის-მეტად დიდი თანხაც. პაწაწკინტელა არსებაა ციების გამავრცელებელი მწერი ანოფელესი, მაგრამ მის მოსასპობად მილიონებია საჭირო. ამიტომ ევროპაში ამ საშინელ მწერთან ბრძოლას მხოლოდ სახელმწიფოები და მდიდარი კომუნები კისრულობენ. იტალიის მთავრობამ 1860 წლიდან დღევანდლამდე 700 ათასი ჰექტარი ძლივს გააშრო უზარმაზარი კაპიტალისა და ენერგიის დახარჯვის მიუხედავად; უკანასკნელად მან დაიწყო ახალი სერია მუშაობისა, რომელზედაც დაახლოებით 250 მილიონი ლირა უნდა დაიხარჯოს 570 ათასი ჰექტარი ჭაობის გასაშრობად. ასეთივე დიდი ხარჯები სჭირდება მდინარეების კალაპოტში ჩაყენებას, არხების გაყვანას, დაქუცმაცებული საკუთრების გაერთიანებას და სხ... ეს უკანასკნელი ამასგარდა საგანგებო კანონების გამოცემასაც მოითხოვს, როგორც ეს გერმანეთში მოხდა.

საადგილმამულო კომისია რასაკვირველია არ უნდა შეუშინდეს პრობლემის სიდიდეს. ჩვენი სამშობლო დღეს ისე დაავადებულია, რომ დოსტაქარის უყოლობის გამო მას დიდათ არგებს გულკეთილი სამარიტელიც, რომელიც მის იარებს თუ ვერ მოსპობს, მალამოს მაინც მოსცხებს და დაამებს. განკურნების პროცესსაც თავისი ობიექტიური ლოღიკა აქვს: თუ ის ერთხელ დაიწყო, ნელ-ნელა ბოლომდე მივა სენის წინააღმდეგობისა და დროებით შებრუნების მიუხედავად.

ვ. ლელიანი.

## კოლონიზაცია საქართველოში

უცხოელები ნიადაგ ეტანებოდნენ საქართველოს მიწა-წყალს; ძველადგან ბერძენთა ახალშენებით იყო მოფენილი შავი ზღვის ქართული ნაპირი; მეთექვსმეტე საუკუნეში ასი ათასი თურქ-თათარი ჩაასახლა შაჰ-აბაზმა აღმოსავლეთ საქართველოში...

რუსთა ახალშენები შედარებით ახალი ხილია, მას არც ასი წლის სიძველე აქვს; რუსი ყაზახები, რომელთაც სტიქიურმა კოლონიზაციამ დაუფლო იმპერიას ჩრდილო კავკასია, ალღოთი ერიდებოდნენ კავკასიის ქედის ბუნებრივ კედლის აქეთ გადმოსვლას... საქართველოს და რუსეთის შეერთების შემდეგ თვით რუსეთის სახელმწიფო იწყებს ზრუნვას ამიერ-კავკასიის კოლონიზაციაზედ. ეკატერინე მეორე ახალი ქალაქის აშენებასაც კი ჰფიქრობდა იმ ადგილს, სადაც მტკვარი არეზს ერთვის..

1818 წელს საქართველოში პირველად ჩამოასახლეს რუსი მწვალებლები, სექტანტები; სამოციან წლებში, თავად ვარანცოვის დროს „დუხობორები" ჩამოასახლეს ჯავახეთში, იმერეთში კი, ორპირის ახლო-მახლო საჭურისი „სკაპცები" ჩამოიყვანეს..

სამოციან წლებში ბორჩალოში ჩაასახლეს ნამსახური რუსი ჯარისკაცები და ამასთანავე დაიწყეს შავი ზღვის ნაპირების კოლონიზაცია; გალიცინი მკაცრი საახალშენო პოლიტიკის მიმდევარი იყო: მან მოინდომა ზედი-ზედ გადაბმულ რუსულ სოფელთა გაჩენა და ამიტომ თვალში ამოიღო მუღანლოს ველი, გაიყვანა შიგ 1898 წელს თავის სახელობის სარწყავი არხი და რუსებით მოაშენა ჩრდილო მუღანლოს ნაწილი; ამ დროს ეკუთვნის ეგრედ წოდებულ „ამიერ კავკასიაში გადმოსახლებულთა დამხმარე საზოგადოების" დაარსებაც, იმ საზოგადოების, რომლის წესდება თავიდგან არ არჩევდა დასახმარებელთა ეროვნებას; ეს შეცდომა მალე გამოასწორეს და წესდების პირველი მუხლი იმნაირად შესცვალეს, რომ საზოგადოებას მხოლოდ რუს გადმოსახლებულთა დახმარება შეეძლო...

როდესაც გრაფი ვარანცოვი მოევლინა თბილისის დარიჩინისფერ სასახლეს, კავკასიაში სულ 81 რუსის სოფელი ითვლებოდა; მიუხედავად მწვავე აგრარულ არეულობისა, რომელშიაც იმყოფებოდა მაშინ საქართველო, ბრწყინვალე გრაფმა სწორედ რუსთა კოლონიზაციას მიჰყო ხელი; ამ საქმის მოსაწყობად მან ახალი საგანგებო დაწესებულებაც კი შექმნა, სახელდობრ „კავკასიაში გადმოსახლების ორგანიზაცია", რომლის დედამიზანი გალიცინისებურია: მთლიანი, ზედი-ზედ გადაბმული ახალშენობა, რადგან აქა-იქ შეტანილი რუსობა ითქვიფება და იკარგება... საკოლონიზაციო ფონდისათვის ვარანცოვმა მიმართა აღმოსავლეთით, იმავ მუღანლოს და მის გარემო ველებს, რომელიც საუკეთესო ადგილად ითვლება ნაძენძის, ბამბის მრეწველობისათვის, დასავლეთით კი,—სახელმწიფოს საზღვარზე მყოფ შავი ზღვის ნაპირს, რომელსაც ეკონომიური მნიშვნელობაც აქვს და სტრატეგიულიც.

შედეგი გრაფ ვარანცოვის ათის წლის საკოლონიზაციო პოლიტიკისა საკმაო გულ-სრულობით არის მოხსენებული 1916 წლის ოფიციალ „კავკასიის კალენდარში": გადმოსახლებისათვის დამზადებული მიწა-წყალი ორი ჯერისაა: პირველი ჯერისაა მუღანლოს და მილის ველი, სივრცით 643.172 დესეტინამდე; მეორე ჯერისაა შირაქის, შირვანის, აჯინაურის, სარდაბადის და ჯეირან ჩელის ველთა საზამთრო საძოვრები, სულ 800.000 დესეტინამდე... შავი ზღვის გუბერნიიდან საკოლონიზაციოდ გამოყოფილია უკვე მთელი ერთი მეშვიდედი—100 ათასი დესეტინა და განზრახულია კიდევ 50 ათასის მიმატება; ამას გარდა აქ კიდევ 350 ათასი დესეტინა სახელმწიფო მიწა რჩება, რომელიც მეორე ჯერის ფონდს შეადგენს.

1908 წლამდის, სანამ კავკასიაში გადმოსახლების ორგანიზაცია" დაარსდებოდა, საკოლონიზაციო ფონდი 258.580 დესეტინას უდრიდა; 1908—1915 წლების განმავლობაში კი 285.287 დესეტინა მიუმატიათ, რაიც 50.534 კაცის ხვედრია. სოხუმის ოლქში, აფხაზეთში, გაუმიჯნიათ 6.518 კაცის ხვედრი, იმერეთში 445, აჭარაში—273 და ქართლ-კახეთში—3.263; მთლად 1915 წლის დაწყებამდის გამოუყვიათ გადმოსახლებისათვის 543.867 დესეტინა, 80.786 კაცისათვის; აქედან მკვიდრ რუს მცხოვრებთათვის („სტაროჟილი") გადაუციათ 1.349 წილი. ახლად ჩამოსულ რუს გადმოსახლებულთათვის კი გადაუდვიათ 63.997. მათგან 44.304 კაცი ამ ჟამად უკვე დასახლებულა. ამ რიცხვიდან 10.892 კაცი 1908 წლამდის ჩასახლებულა და 33.412 კი 1908—1914 წელთა განმავლობაში.

ამგვარად, გრაფ ვარანცოვის მიერ მოწყობილ საკოლონიზაციო ორგანიზაციის წყალობით მარტო ამ უკანასკნელ ექვს წელიწადს ჩამოსახლებულა 33.412 მამაკაცი რუსი, ანუ 66 ათასზე მეტი ორივე სქესისა...

გრ. ვეშაპელი.

(დასასრული იქნება)

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ყველა იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ახლა ჩვენ ხელთაა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რუმინეთის ასპარეზზე მოყოლებული ორშოვიდან, ვიდრე დარნა-ვარტამდე გენერალური ბრძოლა დაიწყო. ინიციატივა ამ მთავარ ოპერაციაში გერმანელებს და ავსტრიელებს ეკუთვნის. მათი გაშმაგებული, სასტიკი და დაჟინებული იერიშები ნათლად მოწმობს მათ განზრახვას, თუ გინდ აურიცხელ მსხვერპლით მაინც ბოლო მოუღონ რუმინეთს და მათი ტერიტორია ხელში ჩაიგდონ. ამ უშველებელ ბრძოლის ველზე, იგინი თითქმის ყოველ საყურადღებო ალაგას აქტიურად მოქმედებენ. არსად აღარ დაუტოვებიათ აღარც ერთი მნიშვნელოვანი მიდამო, სადაც მათ შესაფერი იერიშები არ გაეჩაღებინოთ.

სიმართლე მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუმინელები დიდს ვაჟკაცობას იჩენენ და მტერს მარჯვედ უხვდებიან. მართალია ზოგიერთი სიმაგრეების დატოვება უხდებათ, მაგრამ სხვა გზა არ აქვთ ჯერ-ჯერობით, რადგან ეტყობათ მტერი მეტად ძლიერია, როგორც ჯარების რიცხვით, ისევე არტილერიით.

ადვილი შესაძლებელია აქ დაწყებული ოპერაცია კარგა ხნობით გაგრძელდეს. ტრანსილვანია საზოგადოთ მეტად მთიანი ადგილია, თვით რუმინეთის საზღვარზე კი გადაჭიმულია ტრანსილვანიის ალპები და კარპატების მთები. ამ ბუნებრივ სიმაგრეების გადალახვა მაშინ, როდესაც მოპირდაპირე შეიარაღებული ყოველ ნაბიჯს იცავს არც ისე ადვილი საქმეა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გერმანელებს და ავსტრიელებს მეტად გაუძნელდებათ ამ ოპერაციის გამარჯვებით დაგვირგვინება. უეჭველია რუსეთის მხედრობა რუმინეთის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სადმე საპასუხო ოპერაციას დაიწყებს. აქით მოპირდაპირეს აიძულებს, რუმინეთის ასპარეზზე შეასუსტოს თავისი ძალები და რუსეთის წინააღმდეგ მიაშუროს.

დობრუჯაში მდგომარეობა უცვლელია.

რუსეთის ასპარეზზე ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, სოფ. კორიტნიცასთან სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ეტყობა ორივე მოპირდაპირენი არაფერს ზოგავენ რომ გამარჯვება ირგუნონ.

X.

## ომის დეპეშები

6 ღვინობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. დაბა ოზერიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოპირდაპირე ისროდა მოშხამულ გაზით გატენილ ყუმბარებს, ორჯელ იერიშით წამოვიდა, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. კორიტნიცის ჩრდილოეთით მედგარი და ცხარე ბრძოლა გრძელდება. მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ერთ-ერთ ქვეითა ჯარის სახელოვანი უფროსი პოლკოვნიკი აჯიევი, მძიმედ დაჭრილი და ბრძოლის ქარცეცხლში მიბრუნებული ორივე ფეხში დაიჭრა იმ დროს, როდესაც თავისი მამაცი ჯარი მტერზე იერიშით მიჰყავდა. კუროპატნიკის ჩრდილოეთით უეცარის შეტევით ჩვენმა რაზმებმა აიღეს მოპირდაპირის სადარაჯოები. ბოლშოვცეს მახლობლად მტერს ცხარედ ებრძვის; სროლით ვიგერიებთ. კოროსმეზოს სამხრეთით და დორნა-ვარტას მახლობლად მტრის ყველა შემოტევა მოვიგერიეთ. კარპატებში სთოვს, ადგილ-ადგილ სქელი ჯანღია.

**კავკასიის ასპარეზი.** 2—3 ღვინობისთვეს ოსმალ-ქურთების ძლიერი ჯარი შვიდჯერ გამოქანდა იერიშით სუდინ-დაღის მთისაკენ, ერზინჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 60 ვერსის მანძილზე, მაგრამ დიდად დაზარალებული უკან გააბრუნა აქ მობანაკე კავკასიის სახელოვანმა პოლკმა.

დობრუჯში ჩვენმა ზარბაზნებმა მტრის ჰიდრო-აეროპლანი ჩამოაგდეს. ცეცხლმოდებული აეროპლანი აფეთქდა და მტრისა და ჩვენ სანგრებ შუა დაეცა.

**ათინა.** ათინის სააგენტო იტყობინება: მოკავშირეთა ფლოტის 150 მეზღვაური ათინაში მოვიდა და ქალაქის თეატრში დაბინავდა. ქალაქში სიწყნარეა. მინისტრთა სასწრაფო სხდომაა დანიშნული. კიდევ 400 მეზღვაური მოვიდა და იმავე თეატრში დაბინავდა.

ამბობენ, ათინის მეცხოვნე ჯარი ლარისში იგზავნებაო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში სესილმა შეკითხვაზე უპასუხა: საბერძნეთის სამინისტროს აღიარება სათუთი საკითხია და თავის დროზე განმარტებას წარმოგიდგენთო.

რეიტერის სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ: მეზღვაურები „ავეროვი"-ს, „კილკისი" და „ლემნოს"-ი მოკავშირეთა მეზღვაურებმა დაიჭირეს. ამ გემებზე მყოფი საბერძნეთის მეზღვაურები ათინაში გაისტუმრეს.

საბერძნეთის ბატონიშვილი გიორგი გარეშე საქმეთა სამინისტროში იყო და დიდხანს ითათბირა გრეისთან.

**ათინა.** მინისტრ-პრეზიდენტის კანდიდატი ზოგრაფოსი, პარიზში მყოფი საბერძნეთის დესპანი რომანოსი და მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენელნი იმუშავებენ გეგმას, თუ რა საშუალებით აღაგმონ სამხედრო ლიგის მოქმედება ათინასა და პირეთში.

გუშინ მოხალისენი და აფიცრები სოლუნისაკენ გაემართნენ. პირეის სანაპიროებზე მდგარი მოდარაჯენი ფრანგების ნავთიკებში ჩასხდნენ იარაღით და ბარგით.

**ქრისტიანია.** ამერიკისა და იაპონიის ქარხნებს ნორვეგიამ შეუკვეთა საერთო რიცხვით 600 ათას ტონის მტვირთველ გემების აგება, 300 მილიონ კრონად.

**კიევი.** ტყვე გერმანელები ამბობენ: ეხლა მხოლოდ ჰინდენბურგის იმედი ლა გვაქვს, რომელიც რუმინეთის ჯარს გაანადგურებსო.

**რიგა.** ფრიდრიხშტატის მიდამოებში მტრის ნავებმა კიდევ სცადეს დვინა გადაესერათ, მაგრამ შევამჩნიეთ და ხელი შევუშალეთ.

**ბუქარესტი.** ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი ასპარეზი კალიმანის მწვერვალებ დან რუმინელთა ჯარები საზღვარზე გადმოვიდნენ და გიულჟენისაკენ დაიხიეს, ბიკაზის ღელეში მტრის რაზმები გაფანტულ იქმნენ რუმინელთა არტილერიით. საზღვრის დასავლეთით ტოლანკესთანა ხდება ბრძოლა. გიგეშთან პატარა ოპერაციები ხდება. უზულის ღელეში საარტილერიო სროლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. სროლამ საზღვრებთან მიაღწია. ბრატოჩთან მტრის ყოველი იერიში მოგერებულ იქმნა. შემდეგ რუმინელები თვითონვე იერიშით ეკვეთნენ და პოლისტოაკის მხრით მტერს რამოდენიმე დაახევინეს. რუვარუსთან ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. რუმინელებმა ჯერ-ჯერობით შეინარჩუნეს პოზიციები. ალიუტის ღელეში საარტილერიო ბრძოლაა. მთელს ფრონტის გასწვრივ ბრძოლა მძაფრდება. ჟიუს ღელეში რუმინელებმა აიღეს ნემრუ ზანოაგის მაღლობი, ამასთანავე ტყვედ წამოიყვანეს 1 აფიცერი და 40 კაცი. ორშოვის მახლობლად საარტილერიო სროლაა. დობრუჯაში მდგომარეობა უცვლელია.

**ბუქარესტი.** ტორგეშთან საარტილერიო სროლაა. მტრის იერიშები მოგერებულ იქმნა. 40 კაცი დავატყვევეთ. უზულთან საარტილერიო სროლაა. ბუცის მაღლობებთან მტერმა გვაიძულა უკან დაგვეხია. ბროტოსთან მდგომარეობა უცვლელია. რუკართან ჩვენი ჯარები მარჯვედ დგანან. ჟიუს რაიონში სამხედრო მოქმედება შესწყდა. ორშოვოში საარტილერიო სროლაა.

სამხრეთი ფრონტი. დუნაის გასწვრივ ადგილ-ადგილ საარტილერიო სროლაა. დობრუჯაში მტრის იერიშები მოვიგერიეთ კარაბაკის მახლობლად.

**ბუქარესტი.** ტორგეშის დასავლეთით მტრის იერიშები მოგერებულ იქმნა. ბრძოლა გრძელდება. ვიკოზის ღელეშიც მოვიგერიეთ მტრის იერიშები. საზღვარის დასავლეთით, ტროტესის ღელეში, მტერმა აგასამდინ მიაღწია. ჩვენ უკან მოგვიხდა დახევა. ბრძოლა გრძელდება. უზულის ღელეში მტერი ისევ საზღვრამდინ მივიყვანეთ. ამ რაიონში ჩვენმა არტილერიამ მტრის მთელი ბატალიონი მოსპო: 59 კაცი წამოვიყვანეთ ტყვედ. ვიტუზის ღელეში მეტად სასტიკი ბრძოლა ხდება, სასამზღვრო პოზიციები ხელიდან ხელში გადადის. ბრძოლა გრძელდება. მტრის რაზმები შემოიჭრნენ კაზისა და ზიბლის შუა, მაგრამ ისევ უკანვე დავახევინეთ. ბეზუეს ღელეში ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა მტერი აიძულა თხრილები დაეტოვებინა. ტყვედ წამოვიყვანეთ 140 კაცი. ბრატოჩთან და პრედელთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მარცხენა ფრთაზე, რუკარუს რაიონში, მატენასისკენ დავიხიეთ. აქ შევინარჩუნეთ პოზიციები. კანენის დასავლეთით მტერმა იერიშები მოიტანა რომბუს მთის რაიონში, სადაც ბრძოლა ჯერაც არ შეწყვეტილა. ფრონტის დანარჩენს ადგილებში დუნაის გასწვრივ მდგომარეობა არ შეცვლილა.

**ბუქარესტი.** აქ ჩამოვიდა საფრანგეთის მთავარ შტაბის მისსია გენერალ ბერტელოს მეთაურობით.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ს. დიმიტრიევის აზრი

წყალქვეშ თუ ჰაერში მოქმედების გაძლიერება გერმანელებმა მას მერე იწყეს, რაც შესუსტეს ხმელეთზე სამხედრო მოქმედება. გერმანელები ჰაერის ფლოტს იმ საქმეს აკისრებენ, რაც ხმელეთის ჯარმა ვერ შესძლო, წყალქვეშა ნავებს კი იმას, რაც დრედნოუტებს გაუძნელდათო. ასე ამბობენ ხოლმე. მაგრამ ივიწყებენ, რომ ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ფრენის საქმე განვითარდა და გაფართოვდა და გაუმჯობესდა. რაც ორი წლის წინად თავგადადებულ მფრინავს შეეძლო ეკისრნა, ეხლა ყველა მათგანი ადვილად ასრულებს ყოველ აფრენაზე. ომის დაწყებისას თუ ცეპელინები არ აუმოქმედებიათ, იმისთვის კი არა, რომ საჭირო არ იყო, არამედ შეუძლებელი და სახიფათო იყო. ამ ერთი წლის წინად ვის გაეგონა საფრენიდან ექვს ფუთიან ყუმბარების ჩამოყრა. დღეს კი ჰაერის ესკადრას უკვე შეუძლიან ნამდვილი ბრძოლის წარმოება. ამისათვისაც ამოქმედებულია საფრენები სასროლ მასალის დამმზადებელ ქარხნების თუ ზურგით მდებარე დაწესებულებათა დასაზიანებლად. გერმანელები ცეპელინების შემწეობით სცდილობენ მოპირდაპირე ზურგის მხრივ დაასუსტოს და ჯარისათვის საკვები მასალის მიწოდება შეუფერხოს.

იგივე დანიშნულება აქვს წყალქვეშა ნავების თარეშსაც. ამ საქმეშიაც ტეხნიკა იმდენად განვითარდა, რომ გერმანელებს შეძლება მიეცა თავისი წყალქვეშა ნავების მოქმედება გერმანეთის სამფლობელოს გარედ. უეჭველია ამერიკის სანაპიროებში წყალქვეშა ნავების თარეშს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე „ინგლისის გარემოცვას". ინგლისის სანაპიროებს ძლიერი სამხედრო ფლოტი სდარაჯობს. ამერიკიდან ინგლისამდე მონავოსნე გემების უზრუნველყოფა კი გერმანელთა წყალქვეშა ნავების თავდასხმისაგან არსებითად შეუძლებელია დიდი მანძილის გამო. ამისათვის წყალქვეშათა თარეში გაძლიერდება. სანიმუშოდ გავიხსენოთ წყალქვეშა „ემდენი", რომელმაც იმაზე მეტი ზარალი მიაყენა მოკავშირეთა სავაჭრო ნაოსნობას, რამდენიც ყველა დანარჩენ წყალქვეშებს და თვით ფლოტსაც არ მიუყენებიათ ხმელთა შუა, ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვაში.

ამის გამო ამერიკის სანაპიროებთა გერმანელების წყალქვეშათა მოქმედებას გულისხმიერად უნდა მოვეკიდოთ, თუმცა არც უნდა გავაზვიადოთ. ეჭვი არ არის თუ გერმანელებმა წყალქვეშების მოქმედება ასე განავითარეს, მოკავშირეთა სავაჭრო ფლოტს დიდი ზიანი ელის. შესაძლებელია თუ არა ასეთი თარეშის ალაგმვა? ეს მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატების საქმეა. რაც უნდა ძლიერი იყოს მოკავშირეთა ფლოტი, იგი მაინც ვერ გასწვდება მთელს ზღვა-ოკეანებს, რომ სავაჭრო ნაოსნობას უდარაჯოს.

ცხადია, ამერიკის სანაპიროებიდან გერმანელების წყალქვეშათა განდევნა მხოლოდ ამერიკასვე შეუძლიან არას ვიტყვით იმაზე, თუ ამერიკის ფლოტს დღევანდელს პირობებში ძალა შესწევს თუ არა ამ საქმის გაძღოლისა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ასეთი თარეშის ასალაგმავად საჭიროა მოსაგერიებელ ხაზზე ახლო-ახლო იდგეს მოდარაჯე გემები. მაგრამ თუნდა სავაჭრო გემებიც გამოიყენოს, ამერიკის ფლოტი მაინც ვერ გასწვდება ამ საქმეს.

მეორეც, საფიქრებელია ისიც, ამერიკა პასუხს გასცემს თუ არა წყალქვეშა ბრძოლის განახლებით გერმანეთის მიერ ბრძოლაში გამოწვევას. დღევანდლამდე მხოლოდ „ქაღალდის" პასუხი გვახსოვს. გერმანელებს უფლება აქვთ ამერიკისაგან მოთმინებას ელოდნენ, რადგანაც გერმანეთის დღევანდელ მოპირდაპირეთა შორის იაპონიაცაა, რომლის გაძლიერებასაც ამერიკა გულის კანკალით შესცქერის. ამ გარემოებას დიდი ანგარიში უნდა გაეწიოს.

მესამეც, ამერიკას მეომარ სახელმწიფოებისაგან შეკვეთილი აქვს იმდენი მასალის დამზადება, რაც მებრძოლ სახელმწიფოებს ორი წლიწადს ეკმარება. ამერიკა რომ გერმანელებს კრიჭაში ჩაუდგეს და მსოფლიო ომის ფერხულში ჩაებას ამ დიდ ეკონომიურ კეთილდღეობას უნდა გამოეთხოვოს. თავის აუტკივებლად სამხედრო მოგება გქონდეს და ხელიდან გაუშვა—წარმოუდგენელია. ესაა მიზეზი, რომ ამერიკის ნეიტრალობას ფხიზელ დარაჯად უდგას ისეთი ძლიერი პიროვნებანი, რომელთაც შეერთებულ შტატების სადავეები ხელში უჭირავთ.

გერმანელებს ამის გამო სრული იმედი აქვთ, რომ შეერთებული შტატები ხანგრძლივის მოთმინებით აღიჭურვებიან. ამერიკამ კიდეც რომ იკისროს საქმეში აქტიურად ჩარევა და ომში მონაწილეობა მიიღოს, არსებითს რასმე სარგებლობას ვერ მისცემს მოკავშირეებს; პირიქით ვნებას მისცემდა, რადგანაც მაშინ მოკავშირეთათვის ამერიკის მიერ დამზადებული სასროლი მასალა და იარაღი თავისავე ჯარისათვის დასჭირდებოდა. ამერიკის გამოსვლა უფრო გერმანელების სარგო იქნებოდა.

პოლიტიკურის მოსაზრებითაც არ არის სასურველი ამერიკის გადახრა მოკავშირეთა მხარეს, რადგანაც ბალკანეთის მაგალითმა დაგვიმტკიცა, თუ რაოდენ საფრთხეს წარმოადგენს მტერმოყვარე სახელმწიფოთა საზიაროდ გამოსვლა ბრძოლის ველზე. ამერიკისა და იაპონიის თხები კი ერთად ვერ მოსძოვენ.

ჩვენის აზრით გერმანელებს კარგად აწონილ-დაწონილი ჰქონიათ მთელი მნიშვნელობა და შედეგი ამერიკის სანაპიროებზე წყალქვეშა ბრძოლის განახლებისა, ისევე როგორც გათვალისწინებული აქვთ ცეპელინებით ინგლისზე გალაშქრება.

თუ მოკავშირე სახელმწიფოთა გაზეთები კვლავ დაჟინებით მოსთხოვენ შეერთებულ შტატებს გერმანეთის წინაამდეგ გალაშქრებას, ამითი მხოლოდ იმ საქმეს დააჩქარებენ, რის გულისათვისაც გერმანელებმა წყალქვეშა ნავებით ბრძოლა გააჩაღეს.

### ბალკანეთში.

როგორც ვიცით, ფალკენჰეიმი ბალკანეთის ასპარეზს მესამე ხარისხოვან მნიშვნელობას აძლევდა.

ეხლა კი იმასაც შეუცვლია აზრი და მისის ხელმძღვანელობით სწარმოებს რუმინეთის ჩრდილო-დასავლეთისა და ტრანსილვანიაში მომქმედ გერმანელთა ჯარისა.

მაკენზენიც თურმე სხვა თვალით უყურებს საქმეს. ამის გამო ამ დღეებში სოფიაში საგანგებო სამხედრო თათბირი მოხდარა.

შვეციის გაზეთები იტყობინებიან: რადგანაც საბერძნეთის საზღვრებიდან სახიფათო ცნობები მოდის, იმპერატორი ვილჰელმი ბალკანეთში გაემგზავრა და ნიშში მისი თავმჯდომარეობით მოხდება სამხედრო თათბირი ფალკენჰეიმის, მაკენზენის, ბულგარეთის მეფე ფერდინანდის, გენერ. ჟეკოვის და ენვერ-ფაშას მონაწილეობით.

მოკავშირეთა მოქმედება საბერძნეთში საგონებელში აგდებს მოპირდაპირეს. ალბად ამ გარემოებით არის გამოწვეული ეს საგანგებო სამხედრო თათბირიც.

„უ. რ." საბერძნეთის დღევანდელს მდგომარეობის თაობაზე მეთაურ წერილში ამბობს: საბერძნეთი ეხლა ისეთსავე ხანას განიცდის, როგორიც განიცადა მაშინ, როდესაც ბავარიის პრინცს ოტტონს ძალით აჰხადეს საბერძნეთის მეფის გვირგვინი და მის მაგიერ გაამეფეს ეხლანდელ მეფის წინაპარი გიორგი დანიელი. ახლა ირკვევა, თუ რა წინდაუხედავი ნაბიჯი გადაუდგამთ მაშინ სახელმწიფოებს.

საბერძნეთის ფლოტის ჩაბარება ასე მოხდა: „ავეროვ"-ის, „ლემნოსის" და „კიკლის"-ის გარდა, საბერძნეთის ყველა სამხედრო გემები გამოუშვეს ინგლის-ფრანგთა გემებს და [illegible] ნავთსადგურში მიიყვანეს. ამ საქმეს $2\frac{1}{2}$ საათი მოუნდა. დარაჯად იდგა და მეთვალყურეობას უწევდა მოკავშირეთა სამხედრო ფლოტი. საბერძნეთის გემებზე მყოფი მეზღვაურნი დილის 4 საათზე წამოშალეს და გემების ბაქანზე დარაზმეს. წაუკითხეს მეფის ბრძანება: ვისაც ჰსურს გემზე დარჩენა და ფრანგებს მიემხროს, ვისაც არა—ათინაში დაბრუნდებაო. წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ყველანი ათინაში გაემგზავრნენ. გემებს წინ მიუძღოდა საბერძნეთის წყალქვეშა ნავი. ათინის მკვიდრნი მშვიდად შეხვდნენ ამ ამბავს, სასახლის წრეები სევდამ მოიცვა.

## უკანასკნელი დეპეშები

**სამხედრო პირთა რწმუნებით სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. ზბოროვის რაიონში ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით და კარპატებში რუსის იერიშების შესაჩერებლად მოწინააღმდეგეს თვით მოაქვს იერიში და ხანდახან ხელჩართული ბრძოლა იმართება. მოწინააღმდეგის იერიშებს რუსები იგერიებენ. დორნავარტიდან სამხრეთით ავსტრიელებმა და გერმანელებმა ბრძოლა გააჩაღეს, რათა რუსის და რუმინეთის ჯარის ერთად შეწყობილ ბრძოლას ხელი შეუშალონ. ამის საწინააღმდეგოდ რუსებიც ზომებს იღებენ.**

პეტროგრადელი მიტროპოლიტი პიტირიმი და უწმ. სინოდის ობერპროკურორი რაევი მეფის ბანაკში წავიდნენ.

## დეპეშა

(ვ. გუნიას ავადმყოფობის გამო)

**ბაქოს დრამატიული კომიტეტი უცხადებს რა თავის ღრმა პატივისცემას მცხოვანს და დამსახურებულ მსახიობ-დრამატურგს ვალერიან გუნიას, უსურვებს მალე მორჩენას ქართულ სცენის სასიხარულოდ.**

ჭანტურიშვილი.

## ახალი ამბავი

### სასახლეში.

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა კავკ. სამოსწავლო ოლქის უფროსი ნ. უ. რუდოლფი.

### მთავრობის დაწესებულებანი.

◆ **სამეურნეო აღწერილობა.** წინასწარი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო აღწერილობისა მთელ კავკასიაში დასრულდა გარდა ერევან-განჯის გუბ. და ყუბანის ოლქისა.

◆ **ენტომოლოგთა ყრილობაზე,** რომელიც 21 ღვინობისთვეს არის დანიშნული კიევში, კავკასიის საერობო ენტომოლოგთა თათბირზე გადაწყდა გაიგზავნოს რამდენიმე საერობო ენტომოლოგი კავკასიიდან.

◆ **საავარაკო ყრილობა.** მეფის ნაცვლის თანაშემწის თ-დ ორლოვის თავმჯდომარეობით მომხდარ კრებაზე მიღებულ იქმნა საგანგებო კომისიის აზრი, რომ ყრილობა მოწვეულ იქმნეს არა ქრისტეშობისთვის გასულს, არამედ დიდმარხვის მეორე კვირაში 20—26 თებერვალს.

◆ **სასოფლო სამეურნეო იარაღის დარიგება.** კავკასიის ჯარების მთავარ უფროსმა წინადადება მისცა კავკასიის სასოფლ-სამეურნეო ინსპექტორს ნაწილი იმ სამეურნეო იარაღებისა, რომელიც ვ. კუპერის ფირმას ჩამოერთო რეკვიზიციით ფოთსა და ნოვოროსიაში დაურიგდეს კავკასიის ოლქის სხვა და სხვა აგრონომიულ ორგანიზაციებს. ამ იარაღთა შორის ბევრია სიმინდისა და ბამბის სათესი მანქანა, სიმინდის საცეხვი და სახნისები.

◆ **თავდასხმა.** როგორც თბ. გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ მცხეთის ახლოს 3 შეიარაღებული პირი თავს დასხმიან თ-დ ბაგრატიონ მუხრან-ბატონის მოურავს ე. მიტილაგოვს და წაურთმევიათ „ვინტოვკა", პატრონები და 237 მ. ფულად.

◆ **ქალთა უმაღლეს კურსებზე.** ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის პროფესორმა ნ. დ. გავრონსკიმ შესწირა 500 მანათი კურსების საჭიროებისათვის.

◆ **ცნობების შემკრები ბიურო,** რომელიც საავარაკო საზოგადოებასთან იყო დაარსებული დაიხურა ამ ზამთრის განმავლობაში.

### ქართული დაწესებულებანი

◆ **საადგილმამულო კომისიამ** წარსულ ენკენისთვეს გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი:

1. საადგილმამულო კომისიის მიწის და სამელიორაციო კითხვების წიგნთსაცავის მოსაწყობად გადადებულ იყოს 1000 მ.

2. ახალციხის ქალთა საფეიქრო სკოლის დასაარსებლად იქაურ საქველმოქმედო საზ. განყოფილებას მიეცეს ერთდროული დახმარება 300 მ.

3. საბუის მომხმარებელ საზოგადოებას მის ოპერაციების გასაფართოვებლად მიეცეს სესხად 1500 მ.

4. ანაგის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის საშუამავლო ოპერაციების გასაფართოვებლად უვადოთ შესანახად შეტანილი იყოს 5000 მ.

5. კომისიის მეთაურობით მოეწყოს გადაწერა მთავრობის მიერ მოგროვებულ სამეურნეო აღწერის მასალებისა (ქართლ-კახეთის შესახებ) და ამ საჭიროებისათვის გადაიდოს—1600 მან.

6. კარდანახის [illegible] ივ. გულისაშვილს [illegible]ეცეს სესხად—600 მან.

7. თანახმად ექიმ მ. იზხნელის თხოვნისა სოფ. არადეთის სარწყავ რუის გამოყვანის გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენისათვის გაიგზავნოს ინჟინერი ლ. ნ. დიასამიძე.

8. თანახმად თავ. ივანე გ. ციციშვილის თხოვნისა ს. ქვემო ხვედურეთის ჭაობების დაშრობის გეგმის შედგენისათვის გაიგზავნოს ინჟინერი ლ. ნ. დიასამიძე და ტეხნიკოსი.

9 მიილოს სალიკვიდაციოდ შემდეგი მამულები: თ-დ დ. [illegible] გურამიშვილისა 116 დეს. სოფ. ქვემო აჭალას და ღრმაღელეს შუა; დ. ქ. ქარუმიძისა სოფ. ხასულში (გორის მაზ.)—684 დეს.

◆ **მეთორნეთა ამხანაგობა.** 5 ამა თვეს საგანგებო კრება ჰქონდათ მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის (ქართველი მეპურეები) წევრთ. კრებამ მოისმინა და მხედველობაში მიიღო მოხსენება გამგეობისა ამხანაგობის მოქმედების შესახებ უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში და აგრეთვე სარევიზიო კომისიის მოხსენება. კრებამ აირჩია სარევიზიო კომისიის წევრად იასონ გობეჯიშვილი. ბოლოს კრებამ მსჯელობა იქონია ამხანაგობის მოსამსახურეთა ქონებრივ მდგომარეობაზე და 1 ღვინობისთვიდან წლის დამლევამდე თვიურად მიუმატა ჯამაგირები: გამგეობის 1 წევრს 25 მან., გამგეობის მეორე წევრს 20 მან., ბუჰალტერს 20 მან. და საწყობის 3 გამგეს თითოს 10 მან.

◆ **მეთორნეთა ამხანაგობის სახელზე** ფოთში მოვიდა 1 გემი (60,000 ფუთი) მარილი. ამხანაგობის გამგეობა თავისს წევრს ბ-ნ ბიჭაშვილს გზავნის ფოთში მარილის მისაღებად და თბილისში გამოსაგზავნად.

### ქალაქის დაწესებულებანი

◆ **ხელოსანთა გამგეობა.** კვირას, 9 ამა თვეს, ხელოსანთა გამგეობის დარბაზში დანიშნულია ხელოსნების საზოგადო კრება. კრების საგანს შეადგენს: 1) განხილვა და დამტკიცება წარსული წლის ანგარიშისა, 2) განხილვა და დამტკიცება მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვისა და 3) გადაწყვეტა საკითხის შესახებ იმისა, თუ როგორ გაანაწილონ და რას მოხმარდეს საანგარიშო წლის განმავლობაში გადანარჩუნებული ფული.

◆ **ქალაქის ლაბორატორიაში** გასინჯეს სხვა და სხვა საძეხვეებიდან წაღებული ძეხვი და ბევრს მათგანში აღმოჩენილა ინგლისური მარილი, რომელსაც საფაღარათოდ ხმარობენ. ამ მარილს მეძეხვეები ურევენ თურმე ძეხვში ფერის მისაცემად სელიტრის მაგიერ, რომელიც ამ ჟამად ნაკლებად მოიპოვება თბილისში. რადგან ამ ჟამად თბილისში ხოლერაა და ამის გამო კუჭის მოშლა საშიშია, ლაბორატორიის ხელმძღვანელთა გადაუწყვეტიათ ასეთ მარილ ნარევი ძეხვების გაყიდვა აკრძალონ.

◆ **ხოლერა.** გუშინ, 6 ამა თვეს, დილის 8 საათზე, ქალაქის ლაზარეთში № 40 იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 36 და ხოლერის ნიშნებით 2 კაცი. 5 ამა თვეს ლაზარეთში გარდაიცვალა ხოლერიანი 1, გაეწერა 1 და გარედან მიემატა 2 კაცი. ხოლერის ნიშნებიანებს იმავე დღეს გარედან მიემატა 2 და ლაზარეთიდან გაეწერა 2 კაცი.

◆ **ნიხრის მომატება.** ოთხშაბათს, 5 ღვინობისთვეს, ქალაქის სამეურნეო კომისიამ განიხილა აწ არსებული ნიხრი სხვა და სხვა სანოვაგეზე და შემდეგი ფასები დააწესა: ყაზანის საპონზე 18 მან. ფუთზე, მარმარილოს საპონზე 17 მ. ფუთზე, მარილზე $3\frac{1}{2}$ კ. გირვ., ნახშირზე ფ. 1 მ. 20 კაპ., გირ.—$3\frac{1}{2}$ კ., ოსურ ყველზე 45 კაპ. გირ., თუშურზე 55 კ. გ., კარაქზე 1 მ. 50 კ. გირ., ერბოზე 1 მ. 20 კ. გირ., რძეზე 10 კ. კრუშკა. ამავე კომისიის სხდომაზე ხმოსანმა წვერავამ შეიტანა წინადადება აღძრულ იქმნას შუამდგომლობა საკვებ საქმის რწმუნებულის წინაშე რათა ციმბირიდან ერბო გამოზიდულ იქმნეს.

### სასწავლებლები.

◆ **ლევანდოვსკის გიმნაზიის** მშობელთა წრის წევრთა კრება ჰქონიათ 5 ამა თვეს. კრებამ მოისმინა მოხსენება წარსული წლის ანგარიშის შესახებ. მოხსენებიდან სხვათა შორის სჩანს, რომ წელს მე-8 კლასი დაუმთავრებია 6 ვაჟს და 6 ქალს. მოხსენება აღნიშნავს, რომ ქალებისა და ვაჟების ერთად სწავლებამ კარგი გავლენა იქონია სწავლა-აღზრდის მხრივ. ბოლოს კრებამ წრის საბჭოს წევრებად აირჩია: ბ-ნი ბესერევი, ბ-ნი სტავროვსკი, ქ-ნი მუსხელიშვილი, ბ-ნი გედევანი, ბ-ნი ნათაძე, თავ. გურამიშვილი, ქ-ნი ლებედევი, ბ-ნი ელჩინიკოვი, კაფიევი და ხუნუნცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სასულიერო უწყებაში.

◆ **დედათა საეპარქ. სასწავლებლის** ინსპექტორად ნაცვლად დეკ. კ. კეკელიძისა, ასახელებენ მღ.—ექიმს ლეჟავას, რომელიც ამ ჟამად ბრძოლის ველზე იმყოფება.

◆ **აგრონომის მოწვევა.** საქართველოს ექსარხოსს აზრადა აქვს მოიწვიოს სპეციალი აგრონომი საქართველოს საექსარხოსოს მონასტრების მიწების მოსავლელად.

### სხვა და სხვა ამბები.

◆ **შემნახ. გამს. ამხ.** გორის შემნახველ გამსესხებელ ამხან. მიიღო 4 ვაგონი ფქვილი, გორის კოოპერატივმა—4 ვაგონი და ქალაქის გამგეობამ 5 ვაგონი. ფქვილი მეფურნეებზე იყიდება.

◆ **საჩაიე.** „ჩაშკა ჩაის“ წმინდა შემოსავალი ჰქონია ენკენისთვის განმავლობაში 2.111 მანეთი.

◆ **ჩამოვიდნენ** თბილისში თავმჯდომარე ქალაქთა კავშირის ბათომის რაიონის კომიტეტისა ბათომის ქალაქის მოურავი ბ-ნი კრინიცკი და მდივანი კომიტეტისა ბ-ნი პ. გამყრელიძე. მათ ჩამოსვლას კავშირი აქვს კომიტეტის საფინანსო საქმეებთან, განსაკუთრებით კომიტეტის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებასთან.

◆ **ქალაქთა კავშირის** საგანგებო რწმუნებულად დაინიშნა ბათომ-ტრაპიზონის რაიონში **ი. ა. გოგოლაშვილი.**

◆ **ჩამოვიდა** თბილისში სახელმწიფო სათათბიროს წევრი აკაკი ჩხენკელი.

◆ **საგანმანაწილებლო ჰოსპიტალი.** მეფის ნაცვლის რწმუნებული გენ. ლ. ულიანოვი ამ ჟამად რევიზიას აწარმოებს საგანმანაწილებელ ჰოსპიტლის ყველა საქმეებისას. ამ ჰოსპიტლის გამგებ ექიმ მინასიანცმა შეიტანა თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ. მის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა ექიმი ღამბაშიძე.

◆ **დღეს საღამოს** ქართული წარმოდგენა გაიმართება „ახალ კლუბის“ დარბაზში.

**ს. კავშირი** (სიღ. მაზრა).

ადგილობრივმა მომხმარებელმა დუქანმა „იმედმა“ მანიფაქტურული საქონელიც კი შეიძინა; საერთოდ ბ-ნ ი. ჩხატარაიშვილის მეთაურობით გამგეობა მუყაითად ეკიდება საქმეს.

**ს. მუღალნო** (თბ. მაზ.).

ადგილობრივი სკოლა გადმოუტანიათ სართიჭალაში, გერმანელების სკოლის შენობაში. მუღალოდან სართიჭალამდე 2—3 ვერსია, როგორ შესძლებენ პატარა ბავშვები ზამთარში სიარულს, ადგილობრივი მასწავლებლები ამას ანგარიშს არ უწევენ.

**თელავი.**

არტემა სიმონოვს (ბაზარნიკს) მოჰპარეს თავის ვენახიდან კურდღელაურში 1 ცხვარი, რომელიც როგორც ჩანს, იქვე დაუკლავთ და ისე წაუღიათ ქურდებს.

— გიორგი ყარაულაშვილს მოჰპარეს ღამით ეზოდან მეწველი ძროხა.

— მეორე ღამეს ფერ. მეთოდიშვილს გაუტეხეს სახარაზო სახელოსნო, გაიტანეს 300 მანეთის შეკერილი ჩუსტები და მასალა. დუქნის გატეხა მაშინვე აცნობა პოლიციას, რომელმაც წაიყვანა მაძებარი ძაღლი, უჩვენეს გატეხილი დუქანი და გაუშვეს. ძაღლმა მოირბინა რამდენიმე ეზო, შემდეგ გადახტა წინა ღამით მოპარულ ძროხის პატრონ გიორ. ყარაულაშვილთან და იმას დაუწყო ყეფა. პოლიციელებმა ყარაულაშვილი მაშინვე დაატუსაღეს.

— ბეჟანიანის (თელ. მაზ.) მახლობლად ყაჩაღები დახვდნენ შ. მაკასაროვს, რომელსაც ჯერ ფული წაართვეს 3 მ. და 70 კ., შემდეგ გახადეს ტანიდან ქულაჯა და გაუშვეს დიდი საყვედურით, რომ ბევრი ფული არ აღმოაჩნდა.

## ვალერიან გუნიასთან

ავადმყოფს დიდძალი მნახველები მოსდიან. ქართულ გიმნაზიის დირექტორი ალ. ჭიჭინაძე, ჩვენი მცხოვანი მწერალი ს. მგალობლიშვილი, შ. არაგვისპირელი, მწერლები და მოღვაწენი: გრ. რობაქიძე, გრ. დიასამიძე, სპ. კედია, გ. გვაზავა, ი. მაჭავარიანი, პ. გოთუა, ილ. ელეფთერიძე და დრამატურგი ი. გედევანიშვილი, დამსახურებული მსახიობი ვ. აბაშიძე, მ. საფაროვ-აბაშიძისა და კ. ყიფიანი. ხშირი სტუმრები არიან აგრეთვე დრამ. საზ. თავმჯდომარე თ. ნიკო ერისთავი, საპატიო წევრი კნეინა ანასტასია მაჩაბლისა ხშირად ნახულობენ ადგილობრივ რედაქციების თანამშრომლები. ავადმყოფის ხელში აღზრდილნი სანდრო შანშიაშვილი და ი. გრიშაშვილი მუდამ დღე მიდიან ავადმყოფთან. აგრეთვე ნახულობენ აუარებელი კერძო პირი და უსურვებენ კეთილ მოღვაწეს მალე განკურნებას.

უკანასკნელ კვირას ავადმყოფის წამლობა სხვა რეჟიმით მიჰყავთ და უკეთესი შედეგი ეტყობა, ექიმებს იმედი აქვთ, რომ გამუდმებულ სისხლის დენას უოპერაციოდ შესწყვეტავენ. სხვათა შორის ძვირფას ავადმყოფს მოსდის აუარებელი წერილები და დეპეშები, სადაც უსურვებენ განკურნებას. ვალიკო თავს კარგათა გრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან დასუსტებულია.

ავადმყოფს კერძო მკურნალებისაგან მოსდის მრავალი წამლები, რასაც პირდებიან სისხლის შეწყვეტას, მაგრამ ვალიკო არ ხმარობს. დაუღალავ სცენის და საზოგადო მოღვაწის სადგომი ორი პატარა ოთახისაგან შესდგება, სადაც რვა სულამდე სცხოვრობს. ასეთი გარემოება ავადმყოფს ხელს უშლის მით უფრო, რომ ოთახები მეტად დაბალ ჭერიანია, მაღალი კაცი ვერც კი გაიმართება. ჰაერი ნაკლებია. ავადმყოფის პატივმცემელთა ერთს ჯგუფში დაიბადა აზრი, ვალიკო გადაიყვანონ შესაფერს სადგომში. ნიკო ერისთავს და პარ. გოთუას შეუტანია წინადადება, რომ ვალიკო ბანკის ხარჯით ოპერაციის შემდეგ იქნას გადმოყვანილი შესაფერ ბინაზე. უსურვებთ ჩვენ მოხუცებულ ავადმყოფს განკურნებას და კვალად სცენაზე დაუღალავად მუშაობას ყველა ჭეშმარიტი ქართველი მოუთმენლად ელის ვალიკოს ფეხზე წამოდგომას.

ხ. დ.

## მკვლელობა

დ. ცხინვალში მოჰკლეს ადგილობრივი ცნობილი ვაჭარ-მომრეწავი იოსებ კასრაძე. იოსებ კასრაძე მთელს ცხინვალის მხარეში პირველ ვაჭრად ითვლებოდა. შედარებით ახალგაზდამ თვისი მხნეობით და გამჭრიახობით დაბალ და საშუალო ვაჭრიდან იგი პირველი გახდა, ხელში ჩაიგდო მთელი მხრის აღებ-მიცემობა. მთავარი ინიციატორი წარმოებისა და ვაჭრობისა ის იყო, მხოლოდ ის და მიტომაც მისი წარმატება არ მოსწონდათ იმ მტერ-მოყვარე მეზობლებს, რომელთაც ვაჭრობაც და მრეწველობაც მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ მონოპოლიად მიაჩნიათ. ამ ზამთარ მას ცხინვალში რამდენჯერმე ჩაუსაფრდნენ, ესროლეს კიდეც, მაგრამ გადარჩა. ბოლო ხანებში პეტროგრადში და საზოგადოდ რუსეთში დადიოდა სავაჭრო საქმეებზე. ამ დროს მისი საქონლის მაღაზია გასტეხეს და ასი თუმნის სავაჭრო წაიღეს. რუსეთიდან მოსულმა ფეხი შედგა ცხინვალში და ვიდრე მოასწრებდა საქმეთა მოწესრიგებას, მოჰკლეს კიდეც. მთელ თავის წარმოების ცენტრალი ფიგურა იგი იყო და მის სიკვდილთან ერთად მიდის მთელი საიდუმლონი მისი ოპერაციებისა. მას არავინ ჰყავს მოსწრებულ მემკვიდრედ გარდა მოხუცი დედისა, ნახევრად შეშლილი ძმისა და წვრილშვილისა.

ცხინვალელი.

## საადგილმამულო კომისიის მომავალი სამუშაო გეგმა

6 ენკენისთვეს 1916 წ. საადგილმამულო კომისიამ მიიღო მომავალ წლების სამუშაო გეგმა, წარდგენილი კომისიის მდივნის დ. ვ. ვაჩნაძის მიერ.

ამ გეგმის თანახმად საადგილმამულო კომისია აწ მიმდინარე მოქმედების გასაფართოებლად ოთხს მთავარ განყოფილებას ხსნის: **სტატისტიკურს, სამელიორაციო-ტეხნიკურს, სამიწისმზომლო და საკონსულტაციოს.**

1) **სტატისტიკური** განყოფილების მიზანი იქნება შეაგროვოს ყოველგვარი მასალები და დაწვრილებითი ცნობები ჩვენი მიწისმფლობელობის დღევანდელ მდგომარეობის და საზოგადოთ ქართულ აგრარულ ცხოვრების შესახებ. ეცდება გამოიკვლიოს მიზეზები მამულების გაყიდვისა, მიწის მუშათა მამულის სიმცირისა და უმამულობისა, გამოარკვიოს მათ შორის მიწის სყიდვის საჭიროების რაოდენობა და სხვა. ამ განყოფილების მუშაობა ჩაებარება განსაკუთრებულ ინსტრუქტორებს.

2) **სამელიორაციო-ტეხნიკური** განყოფილება გაუძღვება სამელიორაციო და სატეხნიკო საქმეებს. დაამზადებს სამელიორაციო მასალებს—მიწების მორწყვის, ჭაობების დაშრობის, წყალსადენების გამოყვანის საჭიროების, მრავალ რიცხოვან „ხევების“ მდგომარეობის, მდინარეთა სანაპიროების გამაგრების წესების და სხვ. შესახებ. მოთხოვნილებისამებრ მსურველთ შეუდგენს შესაფერის სამელიორაციო და სატეხნიკო გეგმებს და ხარჯთაღრიცხვას და ინჟინერ-ტეხნიკოსების საშუალებით ხელმძღვანელობასაც გაუწევს მუშაობის დროს. უახლოეს ხელმძღვანელად ზემონახსენ საქმეებისა კომისია საგანგებოდ იწვევს ინჟინერ მელიორატორს.

3) **სამიწისმზომლო** განყოფილება ყოველგვარ სამიწისმზომლო საქმეებს შეასრულებს, განსაკუთრებით კი ყურადღებას მიაქცევს მამულების მიწის მყიდველ ამხანაგთა შორის წესიერ დაყოფას, გაფანტულ და დაქუცმაცებულ მამულის ნაწილების ერთ საერთო საზღვარში მოქცევას (уничтоженіе черезполосицы). ამ განყოფილების სამუშაოსათვის საგანგებოდ მოწვეულ მიწის მზომელს სხვათა შორის ყველა იმ მასალების მოგროვება და გამოკვლევა დაევალება, რომელიც ჩვენი კუთხის გამიჯვნის კანონებს და მის პრაქტიკას შეეხება.

4) **საკონსულტაციო** ნაწილი გამოცდილ ვექილის შემწეობით მისცემს რჩევა-დარიგებას კომისიის ყველა იმ კლიენტებს, რომელნიც ამას საჭიროებენ მიწის სყიდვა-გაყიდვის, მიწის დავების და სხვათა დროს. მასთან საკონსულტაციოდ მიიღებს სხვა და სხვა საბუთებს და დოკუმენტებს—ხელშეკრულობისა, ნასყიდობისა, გაყიდვისა, თამასუქისა და სხვა ამ გვარისა.

ზემოხსენებული სამუშაო გეგმა საადგილ-მამულო კომისიისა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს მიერ დამტკიცებულია ამ წლის 30 ენკენისთვეს.

თანახმად ამ დამტკიცებულ გეგმისა, 1 ღვინობისთვიდან საადგილმამულო კომისია შესაფერის მოსამსახურე შტატის შედგენას შეუდგა.

## ქართ. საქველმოქმედო საზოგადოება 1915 წ.

(მთავარი გამგეობის ანგარიშიდან)

(გაგრძელება)

**ახალქალაქის განყოფილება.** დაარსდა გიორგობისთვეში 1915 წელს, გან—ის გამგეობის წევრნი: მამედ-ალი ბეგ დადა ბეგ ზადე ფალავანდოვი (თავმჯდომარე), დეკ. ა. ს. ზედგენიძე, ქ-ნი ა. გ. ჟვანია, ქ-ნი ა. ნ. ჭაბუკიანი, ლომან ბეგ ბაგრატ ბეგ ზადე ფალავანდიშვილი, ს. ვ. ნადირაძე და ი. ს. ალხაზიშვილი. კანდიდატებით: ა. ს. მიქელაძე, ისკანდარბეგ-აბას-ბეგ ზადე აბაშიძე. ამ განყოფილების დაარსებას და ამოქმედებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს, რადგან მისი სამოქმედო რაიონი როგორც ახალციხისა შედარებით ახლოა ბრძოლის ველთან და დასახლებულია მრავალი გამუსულმანებული ქართველობით, რომელიც განსაკუთრებითი ყურადღებას და დახმარებას მოითხოვს ჩვენგან. სარეგისტრაციო მუშაობა თავიდანვე გაჩაღდა. აღმოჩნდა ბევრი ლტოლვილი ქართველი მაჰმადიანი. კიდევ უფრო მეტი ომისაგან დაზარალებული და ყოველნაირად შევიწროებული.

**ნახიჩევანის განყოფილება.** დაარსდა ღვინობისთვის 1915 წ. გან—ის გამგეობის წევრები: ქ-ნი მ. დ. კანდელაკისა (თავმჯდომარე), ქ-ნი ე. მ. მახვილაძე, პ. ლ. მეძმარიაშვილი, ა. გ. კაციტაძე, გ. ს. უტურაშვილი, გ. ი. ჟორდანია, ბ. გ. ასათიანი და კანდიდატები: ბ-ნი ნ. ასათიანი, ბ. რ. კანდელაკი და ბ. ბ. ესაიაშვილი. ნახიჩევნის განყოფილების მოქმედების დაწყებას ძალიან უშლიდა ხელს ადგილობრივი ადმინისტრაცია. მთავარი გამგეობის ჩარევით დაბრკოლება ძლეულ იქნა და განყოფილება ამუშავდა. იქაური განყოფილება უმთავრესად აკავშირებს ადგილობრივ ქართველებს, რომელთა შორის ცოტაა გაჭირვებული, და აგროვებს საშუალებას ქართულ საქ. საზოგადოების საერთო მუშაობის გასაძლიერებლად.

**სიღნაღის განყოფილება.** დაარსდა ქრისტეშობისთვეში 1915 წ. გან—ის გამგეობაში შედიან: კ. ი. ტყავაძე (თავმჯდომარე), ლ. დ. ანდრონიკაშვილი, ქ-ნი მ. ვაოდანაშვილისა, ბ-ნი გ. დაფქვიაშვილი და ბ. მ. ახმეტელაშვილი, კანდიდატებათ: ბ. გ. ხატის-კაცი, ქ-ნი ა. მოსულიშვილისა და ბ. ა. წინამძღვარიშვილი. განყოფილების დაარსებასთან ერთად მთავარმა გამგეობამ გაგზავნა სიღნაღის მაზრაში თავის რწმუნებული მეომართა ოჯახების და საერთოდ დაზარალებულთა ნივთიერი მდგომარეობის გამოსაკვლევად.

**სამტრედიის განყოფილება.** დაარსდა დეკემბერში 1915 წელს. გ—ის გამგეობაში აირჩიენ შემდეგი პირნი: თ. ლ. ბ. მიქელაძე (თავმჯდომარე), პ. პ. გელეიშვილი, ა. ბ. კორძაია, თ. ი. ჯაყელი, ს. ა. ხუნდაძე, ი. გ. ქიბაბიძე და ვ. თ. პაპავა. კანდიდატებათ: ბ. მ. ბერძენიშვილი, ბ. ი. გეგია და ბ. ნ. კიკაჩეიშვილი. ს—ის განყოფილებამ დაარსების დღიდანვე ომისა და სხვა უბედურებისაგან დაზარალებულთა რეგისტრაციას მიაქცია მთავარი ყურადღება, რათა რაიონის გაჭირვებულ ხალხის უმწეო მდგომარეობა მალე გამორკვეულიყო და შესაფერი ზომები მიგვეღო მის, ცოტათი მაინც, შესამსუბუქებლად.

**ბორჩალოს განყოფილება.** დაარსდა დეკემბერში 1915 წელს. გ—ის გამგეობის წევრნი: კ. ი. სვიმონიშვილი (თავმჯდომარე), მ. ი. მირზაშვილი, ი. ნ. გოგობერიძე, დ. ნ. ჭავჭავაძე, გ. მ. მელიქოვი, ბ. ა. გოგნიაშვილი და დ. დ. მავროპულო. ბორჩალოს განყოფილება განსაკუთრებულ ენერგიით შეუდგა მუშაობას საქართველოს ამ განაპირა და თითქმის სრულიად მიტოვებულ კუთხეში.

ომისაგან დაზარალებულ ქართველთა **ბაქოს „დამხმარე კომიტეტი“.** ბაქოში ქ. ს. ს—ის სარაიონო განყოფილება არ არსებობს. იქ არის სამაგიეროთ მზგავსი დაწესებულება, წ.-კ. საზოგადოების ბაქოს განყოფილებასთან დაარსებული, დაზარალებულ ქართველების „დამხმარე კომიტეტი“, რომელიც დამოუკიდებლად უწევდა დახმარებას გაჭირვებულთ. მისი წევრები: თ. ი. ი. დადიანი (თავმჯდომარე), ს. მ. კვიტაშვილი, ვ. მ. ქიქოძე, ნ. ი. ჯაყელი, ი. მ. თურქია, კ. ტ. ლორთქიფანიძე, ბ. ა. მაღალაშვილი, ლ. ქ. მამულაიშვილი. „დამხმარე კომიტეტმა“ საანგარიშო ხნის განმავლობაში დიდი სამსახური გაუწია ქარ. საქ. საზოგადოებას ქართველ მაჰმადიანთა ნივთიერ და იურიდიულ დახმარების აღმოჩენის საქმეში. „დამხმარე კომიტეტი“ ყოველთვის მგრძნობიარეთ ეხმაურებოდა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების საჭიროებას.

**პეტროგრადის ქართველთა საზოგადოება.** იმყოფება მ. ი. უ. ქსენია ალექსანდრეს ასულის მფარველობის ქვეშ. საზოგადოებას თავმჯდომარეობს კნ. სალომე ნიკოლოზის ასული ობოლენსკისა. ქართველთა საზოგადოება პეტროგრადში ეხმარება დაჭრილ ქართველ ჯარის კაცებს, განსაკუთრებით მათ, რომელნიც პეტროგრადის ლაზარეთებში იმყოფებიან. საზოგადოება ყურადღებით ეპყრობა, როგორც ქ. ს. საზოგადოების მთავარ გამგეობას ისე მის განყოფილებებს. მან გამოუგზავნა მთავარ გამგეობას, 5,000 მან. დაჭრილ ქართველ მეომართა ოჯახების დასახმარებლად. ამდენივე გაუგზავნა ქუთაისის, ზუგდიდის და სხ. განყოფილებებს.

**აჭარელთა საკითხი.**

აჭარლებს რომ ვახსენებთ ხშირათ ბათუმის ოლქის მთელ ქართველ მაჰმადიანობას ვგულისხმობთ. მათი უნუგეშო მდგომარეობა სავსებით აღიმართა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წინ. დახმარება იყო საჭირო ორნაირად: ნივთიერად და მორალურათ. ეკონომიურად განადგურებასა და აწიოკებასთან ერთად ხალხს დომოკლეს მახვილივით დასტრიალებდა თავს „ღალატის“ საშინელება.

პირველყოვლისა საზოგადოებას უნდა ეზრუნა აჭარლების ფიზიკური არსებობისთვის. მთელს აჭარაში სიმშილი მძვინვარებდა და ხალხისთვის საკვები უნდა მიგვეწოდებია. საშვალება საზოგადოებას არა გააჩნდა-რა. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა შემოწირულების ორგანიზაცია მოეწყო და ხალხმა თვისი წვლილის შემოტანა ნელ-ნელა დაიწყო. ამასთანავე დაზარალებულთა საქმის გაძღოლის გასაადვილებლად დაარსდა განყოფილება ქუთაისსა და ბათუმში. მუშაობა თან-

## მიწის უფლებისათვის ბრძოლა გურიაში *)

### თავი VII

### სოციალისტური კრიტიკა, სინიდისის თავისუფლება და სინამდვილე დასკვნა

გურიის დასელთა მიერ სამღვდელოების ხელაღებით კრიტიკის სამწუხარო შედეგი, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ, ეკუთვნის ერთ იმ ტაქტიკურ შეცდომათაგანს, რაც აგრე ახასიათებს მათ არა თუ სარწმუნოების, არამედ ეროვნულ და აგრეთვე მიწის შეძენის და მთლად ტერიტორიის შენარჩუნების არსებით საკითხებში. ამ სამი საკითხის გარშემო ტრიალებდა სრულიად საქართველოს წარსული მოძრაობა, მაგრამ მომქმედ პასუხისმგებელ პარტიამ არა თუ განსჭვრიტა არსებული მდგომარეობა და მომავლის საიდუმლოსაც ჩასწვდა, არამედ მაშინაც კი ცენტრისაკენ მიაქცევდა ხალხის ყურადღებას, როცა ადგილობრივად ხელიდან ეცლებოდა მშრომელ გლეხკაცობას საუკუნეებით ოფლით განბანილი და სისხლით მორწყული მამულ-დედული. მაგრამ ამის შესახებ წინა თავებშიაც ხომ ბევრი ვილაპარაკეთ და ამიტომ დროა ნათქვამსა და ნაფიქრს, რომელსაც პირადი განცდისა და ნაგრძნობის ელფერი აკრავთ, ერთგვარი დასკვნა გავუკეთოთ და მკითხველის თვალში აღვადგინოთ ის მთავარი ძაფი აზრთა მიმდინარეობისა, რომელიც, ვფიქრობდით, გაგვეტარებინა ჩვენი მცირედი ნაშრომის დედა ძარღვად.

მე-XIX საუკუნის გასულს, საქართველოს, მანამ უჩინარ პატარა კუთხეში, დაიწყო მოძრაობა რომელმაც სახალხო უკმაყოფილების უმაღლეს წერტილს მხოლოდ 1904—5 წლებში მიაღწია. ეს მოძრაობა წარმოსდგა მიწის ნაკლებობის და საერთო სივიწროვის ნიადაგზე და ამიტომაც მას ჩვენ „მიწის უფლებისათვის ბრძოლა“ ვუწოდეთ. თუ რაოდენად ინტენსიური და სამაგალითო იყო ეს მოძრაობა, იქიდანაც სჩანს, რომ გურულთა პირველად მშვიდობიან ხასიათის ბრძოლას მხცოვანი მოხუცი ლ. ნ. ტოლსტოიც კი გამოეხმაურა, ხოლო პარიზის ქართველ ემიგრანტთა თაოსნობით თანაგრძნობის მიტინგი გაიმართა უცხო ქვეყანაში. სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ახლად დანიშნულ მეფის ნაცვალ ვ.-დაშკოვმა გურულთა მოძრაობას პირველად ალღო ვერ აართო და ამიტომ საგანგებო მინდობილებით გაგზავნა იქ თავის თანაშემწე სულთან კრიმ-გირეი. კრიმ-გირეიმ მიუდგომლობით აღნიშნა ყველაფერი, რაც თვალით ნახა და ყურით ისმინა გურიაში მოგზაურობის დროს. აქედან ირკვევა ნამდვილი ხასიათი მოძრაობისა და მასთან დამოკიდებულებაც ქვეყნის უმაღლეს მმართველისა. კრიმ-გირეი ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს.

ამის შემდეგ იწყება ცალმხრივი პოლიტიკა გრაფ ვ.-დაშკოვისა, რომელმაც გურიის აგრარული მოძრაობა ქართველთა ეროვნულ მისწრაფებად დასახა და ამის მიხედვით სჯიდა ყოველგვარ უმნიშვნელო საქმეების შესახებაც კი. აჭარელთა და გურულების დაპირისპირებაც გრაფის პოლიტიკური კურსის ერთ დამახასიათებელ მხარეთაგანს შეადგენს. საგულისხმიეროა, რომ გურულებს ეროვნულ სარწმუნოებრივ განსხვავების ნიადაგზე საამისოდ საბაბი არ მიუციათ და ისე აქეზებდნენ აჭარლებს მათ წინააღმდეგ. მეორეს მხრით, ვინ იცის რა მიმართულებას მიიღებდა ვ.-დაშკოვის პოლიტიკა, რომ მომქმედ პოლიტიკურ პარტიას საქართველოს ეროვნული საკითხი წამოეყენებია პოლიტიკურ მოთხოვნათა მთელ რიგში. ცხადია, ამისთვის მას თავზე ხელს არ მოუსვამდნენ. მაგრამ ხალხის ნამდვილი ზრახვა და მისწრაფება მაინც ხომ გამომჟღავნდებოდა და მით, მოსალოდნელია, კრიმ-გირეის მისიასაც რაიმე აზრი და მნიშვნელობა დარჩენოდა. ეს გზა, როგორც ვიცით, არ ირჩიეს ქართველმა დასელებმა, რომლებიც მაშინ უმთავრესად გურიის გარშემო ტრიალებდნენ... მიუხედავად ასეთ გადაჭარბებულ სიფთხილისა, უაღრესად მიწის ნაკლებობის ნიადაგზე დაწყებული მოძრაობა ბოლოს და ბოლოს იქამდეც მივიდა, რომ რეაქციის გამეფების დროს მომქმედ პოლიტიკურ პარტიას გამოეპარა მარჯვე შემთხვევა მიწის სყიდვით შეძენისა. მიწის შეძენა კი აუცილებელი იყო, ვინაიდან 4 5 წლის უმაგალითო ბრძოლის დროს ნივთიერად დაზარალებული და შევიწროებული გლეხობა საჭიროებდა სულის მოთქმასა და მოღონიერებას. გურული გლეხობა მიხვდა ამ შეცდომას, მაგრამ გვიანღა იყო. მარტო მემამულეთაგან მიწის შეძენა ვერას უშველიდა მას, საჭირო იყო სახაზინო მიწების ხელში ჩაგდება, რომ ამით ფაქტიური სარგებლობა ფაქტიურ მფლობელობად შეეცვალათ. ეს, როგორც ვიცით, ვერ მოხერხდა და მოსულ რუსების ტალღა აღიმართა გურიისა და ქობულეთის ქართველ მაჰმადიანთა საზღვარზე და სწორედ იმ ტყე-მინდვრებს დაეპატრონენ, რომელთაც უხსოვარ დროიდან გურულები სარგებლობდნენ. მეორეს მხრით ერთგვარ ბურუსიდან ერკვევა ბურანში მყოფი საზოგადოებრივი თვითცნობიერება და მეტაურებს აღმაცერად უწყებს ცქერას. სოციალიზმი ვერ აკმაყოფილებს იმ გლეხობას, რომელიც უაღრესად კერძო მესაკუთრეა და სწორედ ამ ნიადაგის განსამტკიცებლად დაიწყო და ჩაერია საერთო ბრძოლაში. მომქმედი პოლიტიკური პარტია ძლიერ ძუნწობდა მიწის საკითხში და პირველად „ჩამონაჭრების“ მეტს არას იმეტებდა გლეხობისათვის, მაგრამ შემდეგში ასეთი შეცდომა გასწორებულ იქმნა და მით გამოაშკარავდა სრული უსაფუძვლობა ცენტრის ფეხის ხმის აყოლისა. ამ შეცდომის დანახვა ღირსეული სასჯელია ჩვენებურ ცენტრალისტებისათვის, რომლებიც რუსეთის სატახტო ქალაქებიდან იწყებენ და მხოლოდ შემდეგ ამ ზოგად მშრალ ფორმულებს უფარდებენ ადგილობრივ ცხოვრების პირობებს. მაგრამ შეუძლიან კი რომელიმე პოლიტიკურ პარტიას თუნდ დღეს სთქვას: აგრარული პროგრამა მაქვს და იმის მიხედვით ვმუშაობ? ვინლა ჩივა აგრარულ საკითხის გადაჭრას, როდესაც საცილობელი გამხდარა თვით ტერიტორიის შენარჩუნებაც. იყო დრო, როცა ტერიტორიის ხსენება ერთგვარ საფრთხობელად იყო მიჩნეული, ქვეყნის მოღალატეობად იყო მონათლული. დღევანდელი დუმილი მომქმედ პოლიტიკურ პარტიებისა აგრარულ საკითხის შესახებ სწორედ იმას მოწმობს, რომ მათ დროებით დაუტევეს ამ საკითხის რადიკალური ფორმით გადაჭრის გზა და ზრუნავენ მხოლოდ ტერიტორიის შენარჩუნებასა და მის უცხო ტალღათა შემოსევისაგან უზრუნველყოფაზე. მაგრამ ამ გზის არჩევამდე მრავალი შეცდომანი იყო მოსალოდნელი და აკი გურიის დასელების გულგრილობამა და დაუდევრობამ მიწის **ფულით შეძენის** საკითხში ახირებული სიურპრიზი უძღვნა გლეხობას: **მას ისიც წაართვეს, რაც ებადა და მით საბოლოოდ წიხლი ჰკრეს იმ მაღალ იდეალებს, რომლებიც შეხანიშნავ აგრარულ მოძრაობას ასულდგმულებდა.** როგორც ვიცით, ამ სიურპრიზამდეც გურიის გლეხობა დაადგა მიწის მფლობელობის გაფართოებას კერძო საკუთრებად მემამულეთაგან შეძენის სახით. აქ ის მოქმედებდა სრულიად დამოუკიდებლად დასელურ ინტელიგენციისაგან, ყოველ შემთხვევაში ეს უკანასკნელი პილატესავით ხელდაბანილი შეჰყურებდა შორიდან ამ პროცესს მიწის შეძენისას და არავითარ წამახალისებელ ტკბილ სიტყვასა და რჩევა-დარიგებას არ იძლეოდა გლეხობის გასამხნევებლად. სწორედ ამ ხანას ეკუთვნის გლეხობასა და სოციალისტურ ინტელიგენციის შორის დამოკიდებულების გამწვავებაც. დემოკრატიული და სოციალისტური იდეალები ერთმანეთს დაუპირდაპირდა, რომელთაგან ფაქტიურად პირველმა გაიმარჯვა. გურიის საკულტურო მუშაობა, რაც სკოლების გახსნასა და საკრედიტო ამხანაგობათა და კოოპერატივების დაარსებაში გამოიხატა. უმთავრესად ამ იდეალების გარშემო სწარმოებს, თუმცა იგივე სოციალისტური ინტელიგენცია უძღვება საქმეს და სრულებით არ თაკილობს იმას, რომ სოციალიზმის წითელი დროშა უფერულ „პატარა საქმეებზე“ შესცვალა და დაახურდავა. ამ ინტელიგენციის დემოკრატიული ზომების გამომხატველი იყო გასულ წელს ოზურგეთში საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების ყრილობა. თუ ვორ.-დაშკოვის ერობის პროექტს 1905 წელს გურიის ინტელიგენცია უარყოფით შეხვდა და მეტის მიღების იმედით მცირედიც კი დაჰკარგა, ხსენებულ ყრილობამ მეტად თავაზიანად და შესაფერ ფორმაში გამოთქმულ სურვილით მოითხოვა საქართველოში და მთლად ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების რაც შეიძლება დაჩქარება, გარდა დემოკრატიული ზომებისა ამ მოთხოვნას ფასდაუდებელი ეროვნული ღირებულებაც ეძლევა. რასაკვირველია საქართველოს ჭრილობებს სამეურნეო ცხოვრების მოწყობის პრეტენზიებით მოვლენილი ერობა ვერას უშველის, მაგრამ ამბობენ: ვინც ანი სთქვა, იმან ბანიც უნდა სთქვასო.

დ. არონიშიძე

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „საქართველო“ № 221.

დათან გაჩაღდა. აღსანიშნავია, რომ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ იმ თავითვე მასიური დახმარების და თვითმოქმედების პრინციპი აღიარა სახელმძღვანელოდ და კერძო ქველმოქმედების წარმოება დაუშვა მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში.

პრესის და საკუთარი კაცების გაგზავნის საშუალებით ნათლად გამოირკვა, რომ აჭარელთ არაფერი არ გააჩნდათ. საჭირო იყო საკვების, ტანისამოსის, საქონლის, სათესლის, იარაღების გაგზავნა. სახლ-კარის აღდგენა და სხვ. ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. ამისთვის საზოგადოებას ძალა არ შეწევდა. აჭარასა და მაჭახელაში გაიგზავნა მხოლოდ 11 ვაგონი სიმინდი, დაახლოვებით 11,000 ფუთი. ეს წვეთი იყო ხალხის უბედურების ზღვაში. მაგრამ საზოგადოებამ რაც შეეძლო ის გააკეთა. საყურადღებო ის არის, რომ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების აჭარაში შესვლამ და მოქმედების დაწყებამ ნება-უნებურად გამოიწვია ადგილობრივი მთავრობის წრეების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყურადღება ომისაგან დაზარალებულ აჭარლებისადმი. ადმინისტრაციამ დაუწყო დახმარების აღმოჩენა დამშეულებს სიმინდით და ფულის დარიგებით. ბათომის საოლქო კომიტეტმა, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ქ. საქ. საზ. ბათუმის განყოფილების წევრები, გააცხოველა და გააფართოვა თავისი მოქმედება. საერობო კავშირმა უფრო საექიმო დახმარების აღმოჩენას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში სურსათის მიწოდებასაც კისრულობდა. მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებამაც აღმოუჩინა ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანებს დახმარება. შემდეგ მოვიდა ქალაქთა კავშირი... ამნაირათ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას უკან გაჰყვა აჭარაში მთელი წყება საზოგადოებრივ ორგანიზაციების, რამაც ერთობ გააფართოვა და გააღრმავა ცოცხლად გადარჩენილ, ღვთის-ანაბარად მიტოვებულ აჭარლების დახმარების საქმე. თაოსნობა და ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას. სწორედ ასე აფასებდა და აფასებს ამას ქართველი მაჰმადიანობაც. ქართული საქ. საზოგადოება მიუხედავათ საშუალებათა სიმცირისა, მეტს საკვებს შეიტანდა აჭარაში, მაგრამ რკინის გზის მოუწესრიგებლობა და ფორმალურ-ადმინისტრატიული დაბრკოლებანი ერთობ გვიშლიდა ხელს. ბათომში ჩატანილი სიმინდის დარიგება-განაწილებაც ძალიან ძნელდებოდა საალყო წესების წყალობით. აჭარაში სიარულის ნებართვას დიდის დაგვიანებით და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იძლეოდნენ.

აჭარაში ატანილი სიმინდის გასანაწილებლად სოფლებში დაარსდა სასოფლო კომისიები, თვით სოფლელების მიერ არჩეული, ხოლო საუბნო ცენტრებში—ხულოსა და ქედაში შედგა მთავარი საუბნო სასურსათო კომისიები, რომლებიც სურსათის განაწილებას თვალყურს ადევნებდნენ და ხელმძღვანელობდენ. ხალხი ითხოვდა ყველასათვის მიგვეცა სიმინდი, რადგან ომისაგან ყველა დაზარალებული და გაჭირვებული იყო. ობლებს და უფრო გაჭირვებულებს შედარებით მეტი ეძლეოდათ თანახმად სასოფლო კომისიების ჩვენებისა. საზოგადოდ ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა სიმინდის დარიგება. აჭარლები დიდი სიხარულით ღებულობდნენ სიმინდს რაც უნდა მცირე ყოფილიყო. სიმინდთან ერთად ისინი თითქოს სხვა უფრო მნიშვნელოვან რამეს ღებულობდენ. ეს მათ სულიერათ ამხნევებდა და უკეთესის იმედით სჭვალავდა. სიმინდს ხალხი ღებულობდა როგორც საქართველოდან, ქართველი საზოგადოებისაგან გამოგზავნილ საჩუქარს.

აჭარაში, მაჭახელასა და გონიაში საჭმელად მჭადს ხმარობენ. ამიტომ იქ სიმინდი უნდა შეტანილიყო. ეგევე არ ითქმის შავშეთ-იმერხევზე, სადაც ხალხი პურით იკვებება. იქ სიმინდის ატანას აზრი არ ჰქონდა. მით უფრო კიდევ, რომ სიმინდის წაღება მეტად ძვირი ჯდებოდა. ბათომიდან შავშეთამდის 1 ფუთი სიმინდის გადაზიდვა 1 მ. 50 კ.—2 მანეთამდის ღირდა. ამიტომ საუმჯობესოთ იქნა აღიარებული შავშეთ-იმერხევში სიმინდის ნაცვლად ფული დაგვერიგებია რადგან მიღებული ცნობების თანახმად იქაურ მცხოვრებლებს საკვები პურის ყიდვა არტაანისა და ყარსის რაიონებში ეადვილებოდათ. შავშეთში ფულის დასარიგებლად გაემგზავრნენ ბათომის განყოფილების რწმუნებულნი (ბბ. ს. მდივანი და გ. ანჯაფარიძე), რომლებმაც თან წაიღეს 2000 მან. საქველმოქმედო საზოგადოების ფული და ამდენივე საოლქო კომიტეტისა. ხალხი განსაკუთრებული სიხარულით ეგებებოდა ფულის დარიგებას. იგი საშინელი უბედურების შემდეგ პირველად ხედავდა შემწეთ და მათთვის გულშემატკივართ.

საკვებთან ერთად ხალხს აკლდა მარილი, საპონი, ნავთი და სხვა უსაჭიროესი საგნები. საზოგადოებამ ამასაც ყურადღება მიაქცია და იმ თავითვე შეძლების დაგვარათ ხალხს ხსენებული საგნები მიაწოდა. საზოგადოებამ დაარიგა აგრეთვე თბილი ტანისამოსი და საცვლები. ფულადაც ეხმარებოდა უფრო გაღატაკებულ ოჯახებს. მარტო ამ საქმეებით არ ისაზღვრება საზოგადოების მოქმედება საანგარიშო ხნის განმავლობაში. საზოგადოება თავის ბათომის სარაიონო განყოფილების საშვალებით აჭარიდან ჩამოსულ მრავალ პირს დიდ დახმარებას უწევდა და უწევს ეხლაც რჩევა-დარიგებით თუ სხვა პრაქტიკული საქმეების მოწყობით. აჭარა-შავშეთ-იმერხევში არ დარჩენილა კაცი ჩვენი საზოგადოების შეძლებისდაგვარი მოქმედება რომ არ გაეგონოს. ბათომის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა და ქ. ს. საზოგადოების შორის უკვე გაბმულია ქსელი, რომელიც, იმედია, მომავალში არა თუ დაწყდება, პირიქით გაიზრდება და გასქელდება. მაგრამ დაზარალებულ მაჰმადიან ქართველობას კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი გასაჭირი და მოთხოვნილება აწვა თავზე. მას აკლდა სამეურნეო იარაღები მიწის დასამუშავებლად, რაც ხალხს მერმისათვისაც სიმშილს უმზადებდა. ამ გარემოებასაც მიექცა ყურადღება. ხალხს გაეგზავნა თოხები, წალდ-ნაჯახები და სხ. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ უსახსრობის გამო ამ დარგში ფართო დახმარება ვერ მოეწყო და მოთხოვნილება ვერ დაკმაყოფილდა. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სამეურნეო დახმარება ფართო მნიშვნელობით ყველაზე ნაკლებად იყო მოწყობილი.

სიმშილის, სიცივის და სხვა უბედურების გამო გახშირდა ავადმყოფობა. ხალხს საექიმო დახმარება ეჭირვებოდა ქ. ს. საზოგადოებასთან დაარსდა საექიმო კომისია, რომელშიაც შევიდენ ექიმები: ი. ელიაშვილი (თავმჯდომარე) გ. მუხაძე, შ. მიქელაძე, პ. კაკილაშვილი და პროვიზორი ა. ახვლედიანი. ზაფხულში მოწვეულ იქმნა ფერშალი გ. კაჭახიძე. ბინა გაიკეთა ხულოში (ზედა აჭარა). ხალხს ექიმობდა უფასოდ. წამლებსაც უფასოდ აძლევდა ავადმყოფებს. 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდის ჩვენს ფერშალს 869 ავადმყოფისათვის აღმოუჩენია დახმარება. როგორც ბათუმის განყოფილების მოხსენება აღნიშნავს, ჩვენ მიერ მოწყობილ საექიმო დახმარებას ხალხი მეტი ნდობით ეპყრობოდა და ეპყრობა. წინააღმდეგ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დამყარებული ჩვეულებისა, მკურნალთან საექიმო დახმარების მისაღებად მისვლას არ ერიდებოდენ. სექტემბრიდან ზედა აჭარაში ქალაქთა კავშირმა საავადმყოფო დაარსა და რადგან ჩვენი საფერშლო პუნქტი აუცილებელ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა, იგი მოიხსნა. ხოლო ჩვენი ფერშალი იქვე დარჩა ქალაქთა კავშირის სამსახურში, იმავე მოვალეობის ასასრულებლად.

ნივთიერ დახმარებას აჭარაში დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა მიეცა. ქართველ მაჰმადიანებმა ქრისტიან ქართველებში დაინახეს თავისი მოძმენი და მოჭირნახულენი, უბედურების დროს დამხმარე და მათი ჭირის თანამოზიარენი. ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ (და მასთან ერთად ბაქოს ქართველობამ) თავისი რწმუნებულები (ბბ. პ. ქავთარაძე და პ. საყვარელიძე) გაგზავნა აჭარაში ნამდვილი მდგომარეობის გამოსაკვლევად. ისინი ჩვეულებრივი თვითნებობის გადამკიდე დიდის ვაივაგლახით ახერხებენ აჭარაში ასვლას... მთელი ბათომის ოლქის ნახვა დამოუკიდებელ მიზეზების გამო შეუძლებელი შეიქნა. რწმუნებულებმა დაათვალიერეს მხოლოდ ნაწილი—სახელდობრ გონიის ერთი კუთხე, აჭარა (ქვედა და ზედა) და მაჭახელა. მათ მეტად უნუგეშო და შემაძრწუნებელი სურათი გადაეშალათ თვალწინ. ქვეყანა სრულიად აოხრებული და სანახევროდ დაცალიერებული, სახლ-კარი გადამწვარი და ეზო-გარემო გაპარტახებული, დაბეჩავებული ხალხი უარესის მომლოდინე, დამშეული და აცრემლებული—აი მდგომარეობის შემოკლებული სურათი. ბრმებისთვისაც კი ნათელი შეიქნა, რომ ხალხი სრულიად უდანაშაულოდ აოხრებულა და ღალატის ბრალდებაც საზიზღარი ჭორია ბნელი ძალების მიერ გამოგონილ-შეთითხნილი. ეს არის ქართველი ხალხის მტერთა „ჯოჯოხეთური განზრახვა“.

დაწვას და განადგურებას გადარჩენილია კინტრიშის ნაწილი—ქობულეთი და რამოდენიმედ იმერხევი, თუმცა აქაც იშვიათია ადამიანი, რომელიც საერთო ომისაგან და კერძოთ შემოსევისაგან არ იყოს დაზარალებული. გონია ორიოდე სოფლის გარდა სრულიად დაცალიერებულია. დღევანდელ ცხის რაიონში აჭარის წყლამდი მთელი და დაუზარალებელი ოჯახი იშვიათი სანახავია. სამხედრო მოსაზრებათა ძალით ხალხი ამ რაიონიდან გაერეკათ. სახლ-კარი განადგურებულია. ძალიან ბევრგან ჯამეები დაქცეული და გაუპატიურებულია. შავშეთში გადამწვარია 15 ოჯახი. 600 სულამდე გადაკარგულია სადღაც. ზედა-აჭარა საერთოდ გადარჩენილია, მხოლოდ ზოგიერთ ოჯახებიდან არის თითო ოროლა კაცი წასული და ერთი-ორი ოჯახი გადაკარგული. ქვედა-აჭარის დასავლეთი ნაწილი, განსაკუთრებით მაჭახელა (ხერთვისის სასოფლო ოლქი) ერთობ გადამწვარი და აოხრებულია.

(შემდეგი იქნება)

## დაბა-სოფლები

**ს. ზედა ილემი** (ზემო იმერეთი). ეს სოფელი მდებარეობს დ. ზესტაფონიდან 7 ვერსის მანძილზე. სოფლის მდებარეობა საუცხოვოა, ვინაიდგან იგი გაშენებულია მაღლობ ადგილზე. მას გვერდით ჩაუდის პატარა მდინარე ილმულა, რომელიც შორაპანში ერთვის მდინარე ძირულას. თუმცა ილმულა პატარა მდინარეა, მაგრამ წვიმების დროს ადიდდება და არაერთხელ წაღეკავს ხოლმე გლეხის ნამუშევარს. მცხოვრებთა რიცხვი ამ სოფელში 250 კომლამდე ადის, რომლიდანაც $^1/_3$-ს შეადგენს აზნაურობა და 15 კომლი სასულიერო წოდება. ეს უკანასკნელი წოდება გამხდარა ლამპრად ამ სოფლისა, ვინაიდგან მრავალი მღვდელ-მასწავლებლებია, რომელნიც ამ სოფლის საკეთილდღეოდ ზრუნავენ. შუა სოფელში ერთ მაღლობ ადგილზე არის ეკლესია, რომლის წარსულიდან სჩანს, რომ უძველესი ტაძარი უნდა იყოს და რომელიც მოწმეა ქართულ ძველ ხუროთ-მოძღვრებისა. ეკლესიის გვერდით იქვე მის გალავანში არის პატარა ქოხი და ამ ქოხში არის მოთავსებული ორ კომპლექტიანი სამრევლო სკოლა მღ. ბესარიონ გორგაძის მიერ დაარსებული. აი, სწორედ ის სკოლა, რომლის დაარსება მხოლოდ მოხუცებულთ ახსოვთ. მაშ რატომ არის ამისთანა ქოხში ეს უძველესი სკოლა მოთავსებული, განა ამ 50 წლისწადში არ შეეძლოთ აქაურთ მისთვის აეგოთ მშვენიერი ხის შენობა? რასაკვირველია შეეძლოთ, მაგრამ მიზეზი გამხდარა გამუდმებული დავა წოდებათა შორის, რომელიც სკოლას ასამარებს. უბინობისა გამო ლამის დღეს თუ ხვალ სრულებით დაიხუროს.

ამ სკოლას აღუზრდია არა ერთი შვილი ამ სოფლისა, არამედ ათასი. ამ სკოლაში ნასწავლთ ბევრს შეხვდებით მღვდლებს, მასწავლებლებს, დიაკვნებს და მოხელეებს. მაშ, განა მათ რიცხვში ერთი არ გამოჩნდა, რომ სოფლის საკეთილდღეოდ ეზრუნათ და თავისი აღმზრდელი სკოლისთვის საზოგადოების დახმარებით გაეკეთებინათ მისთვის შესაფერისი შენობა! შენობის სახურავი დამპალია და წვიმის დროს წყალი თავისუფლად ჩამოდის. შეუძლებელი ხდება მეცადინეობა განსაკუთრებით ზამთრის სუსხიან დღეებში.

მღ. ვასილ გორგაძის და მისი შვილის მონდობილობით აქ 1912 წელს დაარსდა სამკითხველო, რომელიც კარგი გამგეობის მეოხებით კარგ ნიადაგზეა დამყარებული. ჟურნალ-გაზეთებიც ბლომად მოდის, მაგრამ საუბედუროდ უბინაობას აქაც უჩენია თავი. სამკითხველოს ჯერ-ჯერობით საკუთარი შენობა არა აქვს. სამკითხველოს საქმეც წოდებათა გადაკიდების გამო შეფერხებულია, რაიც ზედა ილმის მცხოვრებთ სირცხვილში აგდებს.

აქაურ ინტელიგენციას, რომლის რიცხვიც ამ სოფელში ბლომად არის, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ საუბედუროდ ისიც სალათას ძილს მისცემია და დროს სმა-ჭამას ანდომებს.

კარგი იქნებოდა ამ სოფელში დაარსებინათ კოოპერატიული დუქანი, რომელიც მალამოსავით მოეცხობოდა უმისოდაც სიღარიბეში მყოფ გლეხობას.

ა. ვ. გორგაძე.

**სოფელი ქარელი** (გორის მაზრა). ჩვენს სოფელს წინათ ყოველ ზაფხულობით არ აკლდა ხოლმე თითო-ოროლა გასართობი. ხან წარმოდგენას მართავდნენ ხოლმე საქველმოქმედო მიზნით, ხან სალიტერატურო და ხან საცეკვაო საღამოს, წელს კი, ომიანობის მიზეზით, ვეღარც ერთი ვერ ხერხდებოდა, რადგანაც აღარც ხალხი დაგვრჩა ამეების მოთავე და არც ხალისი; მაგრამ, მაინც კიდევ მოსწავლე ახალგაზდობამ მოისურვა ჩვეულებისამებრ გაემართათ წარმოდგენა, ამოირჩიეს გამგეთ კნ. მ. ზ. ციციშვილისა, მოიწვიეს ერთი ორი სცენის მოყვარე პირი და შეუდგნენ მოემზადებინათ და დაედგათ ქართულ კულტურის მოყვარე საზოგადოების სასარგებლოთ ორი პიესა: ერთი რუსულ ენაზედ, (რადგანაც მრავალი იყო აქ მოსული ხალხი ქართული ენის არ მცოდნე), სახელდობრ „Наши прислуги“ და მეორე ქართულ ენაზედ „დედის ერთა“. თუმცა ამინდმა ხელი არ შეუწყო: ღამე იყო ბნელი, ავდრიანი, ტალახი და მრავალს მსურველს შეუშალა ხელი დასწრებოდა, მაინც ხალხი საკმაოთ მოვიდა და შემოსავალი იყო: გაყიდული ბილეთების ფული 113 მანეთი და 65 კაპ. პროგრამების 21 მან. 50 კაპ. კერძო პირთაგან შეწირულებანი 13 მანეთი და 25 კაპ. ხოლო სრული შემოსავალი შესდგა 148 მან. და 40 კაპ. აქედგან დაიხარჯა: სამხედრო გადასახადი ბილეთებზედ 22 მ. და 80 კაპ. კომედიებში მისცეს 7 მ. და 50 კაპ., აფიშების დასაბეჭდი 5 მ. და 10 კაპ. ბილეთები 25 კაპ., ტანისამოსის ქირა 4 მანეთი, პარიკების ქირა 5 მ. გორში და სხვაგან მისვლა-მოსვლაზედ 17 მ. და 60 კაპ., ურმების ქირა 6 მ., მუშებს 6 მან., და მოულოდნელი ხარჯი 6 მ. სულ დაიხარჯა 81 მ. და 80 კაპ. და ნაღდი შემოსავალი დარჩა 66 მ. და 60 კაპ. რასაც ამასთანავე ვდგენთ ზემოთ ხსენებული საზოგადოების სასარგებლოთ. მადლობის ღირსნი არიან, როგორც გამგე, აგრეთვე ყველა მოქმედნი პირნი ახალგაზდა მოსწავლენი, რომ ამნაირ სიმპატიურ ეროვნულ საქმეს თანაგრძნობით ეკიდებიან და შრომას არ ზოგავენ, რაც უწინ იშვიათი მოვლენა იყო ხოლმე. მაგრამ გამოჩნდა ვინმე „დამსწრე“. რომელმაც გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 645 ნომერში, დიდათ გაჰკიცხა და შეთათხა გამგეც და ყმაწვილი მოსწავლენიც, მისთვის, რომ, ვითომ, მარტო რუსულ ენაზედ იყო წარმოდგენა და იქ დამსწრე ქართველმა ხალხმა, რუსული ენის არ მცოდნემ ვერა გაიგონა. მიკვირს და გასაკვირველიც არის: ბოლოში წერილის ავტორი სწერს: „დამსწრე“ და თუ დაესწრო წარმოდგენას სად გამოეპარა ქართულად როცა ადგენდნენ „დედის ერთას“ არა თუ პიესები „Наши прислуги“ და „დედის ერთა“. ერთმანეთს მოჰყვა, ერთი შენიშნა წერილის ავტორმა და მეორე კი ვერა. ალბათ თუ ჩაეძინა, ძილი თუ მოჰგვარა მოსაწყენმა რუსულმა პიესამ და ქართულისა ვეღარა გაიგონა. დალოცვილს აფიშა მაინც წაეკითხა სადაც დიდი ასოებით სწერია: „წარმოდგენილი იქნება ქართულად „დედის ერთა“ ამნაირი უსაბუთო გაკიცხვა ამ პატარა მოსწავლეებს გულს უფუჭებს, ხალისს უკარგავს და სხვას არაფერს აკეთებენ. ეს ხომ წმიდა ცილის წამება იყო, ვითომ რუსულ არ მცოდნეთ ქართველს ხალხს რუსული წარმოდგენით გაუმასპინძლდნენ. მაგრამ იმედია ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა ამნაირ მოჭორილ წერილებს ყურადღებას არ მიაქცევს და გულს არ გაიფუჭებს კვლავისათვის.

მაინც წელს ბევრი ცრუ და სიმართლეს მოკლებული ცნობები იბეჭდება ქარელზედ იმავე გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 611 ნომერში დიდი კიცხვა და სიდუხჭირე მიაყენეს კნეინა ბ. დ. ბაგრატიონ-დავითაშვილისას, ვითომ არსებული საფეიქრო სასწავლებელი შეავიწროვა, ცუდ პირობებში ჩააყენა და სახლები გადმოხვეწილ სომხების ბავშვებს მიაქირავა. მართალია, ერთი შენობა განკერძოებული საფეიქროსაგან მიაქირავა საფეიქროს მზრუნველმა კნ. ბარბარემ, მაგრამ მით არც საფეიქროს და არც კალათების საწნავ სასწავლებელს არა დაშავებია-რა. პირიქით სახლების ქირა სასწავლებლი გაფართოებას და გამშვენიერებას მოახმარა და ერთშიაც და მეორეშიაც სწავლა ჩვეულებისამებრ მიდის.

წალკოტელი.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
### მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, 7 „ 58 | „ | დილ. |

**ტფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 7 „ 58 | „ | საღ. |

## სუსუნატი
ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი **„გონოზანით“**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და** ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, **ცხინვალის ქუჩა № 12 ოტდ. 3.** მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

## თუ გსურთ,
**რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,**
**რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,**
**საქმის ქაღალდის დაწერა,**
**თხოვნების შედგენა,**
**საქმის და თხოვნის წარმოება,**
**ცნობების შეკრება,**
**მოსამსახურის შოვნა,**
**საკომისიო მინდობილობა,**
**ბინის გაქირავება,**
**ბინის შოვნა,**
**მამულის ყიდვა,**
**მამულის გასყიდვა,**
**მამულის დაგირავება,**
**მამულის იჯარით გაცემა** და სხვ.

## მიმართეთ
### ცნობის კონტორას
## ი. თ. გვათუასას
**თბილისი, ვერის დაღმართი,**
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

**შუამავლობას ეს კონტორა**
**გასწევს როგორც ქალაქელთა**
**ისე ქალაქ გარეშელთათვის.**

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

**ხელმისაწვდენ ფასებში**

**მისამართი პროვინციელთათვის:** Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

## სავაჭრო სახლი
## „ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

## ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

**სავაჭრო-სამრეწველოს სამინისტროს გამგებლობაში მყოფი**
## კულინარული (მზვარეულობის) სკოლა
## ე. ნ. მისტროვისა
(გრიბოედოვის ქ., № 7.)

სკოლის წესდების § 4-ის ძალით აძლევენ თეორეტიულ ცოდნას მეოჯახეობის, სამზვარეულოს ჰიგიენის, საჭმელების კეთების, სანოვაგე-სურსათის და ხორცეულობისას. პრაქტიკულად ასწავლიან სხვა და სხვა გვარ რუსულ, ევროპიულ და ადგილობრივ საჭმელების, ნამცხვრების, მურაბების და შინაურ კვასის კეთებას. **სკოლის მიზანია:** 1) გააუმჯობესოს და გააიაფოს ოჯახში კვება; 2) შეასწავლოს კულტურული პროფესია ცხოვრებაში გამოსაყენებლად და ცხოვრების წყაროს მოსაპოვებლად.

**სამი თვის კურსი ღირს 25 მან.** შეიძლება მეცადინეობა თვიურად და გაკვეთილობითაც. **სკოლაში შესვლა შეიძლება ყოველდღე.**

(10—338—8)

**ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა & წიგ. მაღაზია**
## „განათლება“-ში
**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის კარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартkиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Тавартkиладзе.

## თევზის მრეწველნი
## ძმ. ძიძიგურები
**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ძეით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„ზერნისტი“ ხიზილალა,** აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, **გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კილანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.